



საბჭოეთის საგარეო საზღვარი

ს.ს.ს.რ.
იუსტსაზღვრების
ფრაზიკული
ფრაზა

→ შინაუზსი ←

- ი. ტალახაძე.—ჩარჩული დამცველობის დაცვა ანუ „მარქტული“ აბლაბუდა.
- ა. შიტკევიჩი.—მოპასუხენი სოლიდარულ პასუხისმგებლობის სარჩელზე.
- ვ. გოგილაძე.—საადგილმამულო დავის განხილვა.
- ბ. ფურცხვანიძე.—ერთი გაუგებრობის გასარკვევად.
- ი. გულორდავა.—საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან და ქუთაისის გამსახლთან არსებულ განმანაწილებელ კომისიების შესახებ.
- ი. კაციტაძე.—ვინ უნდა ჩაითვალოს ბინის დამქირავებლად იუსტსაზღვრების ცხრვრეზიდან
- გ. ერისთავი.—„იუსტგამის“ მუშაობა და მისი პერსონალიტიკები.
- ბერკინოლოგიის მასალინათვის
- პ. ქავთარაძე.—თვით მასალა.
- სასამართლო და ცხრვრეზა
- ი. შავლიაშვილი.—სასამართლო და სოფელი.
- თ. შავიშვილი.—რევიზიის შედეგები.
- იურიდიული დახმარება
- კანონმდებლობის მიმოხილვა
- ოფიციალური ნაწილი

№ 20

რევოლუციური

1928

საქ. ს. ს. რ. იუსტსახკომის გამოცხადება

თანახმად საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კომისარია საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 14 დადგენილებისა „საქ. მ. გ. კანონთა და განკარგულებათა კრებულის სავალდებულო გამოწერის შესახებ“ აცხადებს

სახელმწიფო კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთა და აგრეთვე კერძო დაწესებულებათა და პირთა საყურადღებოდ, რომ

იღებენ ხელისმომწერას

საქართ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულზე 1928 წლისათვის

საქ. ს. ს. რ. იუსტ. სახ. კომისარიათა გამოცხადებას საწყობში აქვს:

- | | |
|---|---|
| 1. საქ. ს. ს. რ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქულ ენაზე, ქართულ ენაზე — 40 კ. | 16. იგივე რუსულ ენაზე — 70 კ. |
| 2. საქ. ს. ს. რ. კონსტიტუცია საუკეთესო ქალაქულ ენაზე, რუსულ ენაზე — 40 კ. | 17. საქართველოს ს. ს. რ. კონსტიტუცია (ბროშურად) გაყიდულია. |
| 3. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. ქართულ ენაზე, კომპლექტი . 1 მ. 20 კ. | 18. „ტყის წესების დარღვევა—წანახედი“ სახელმძღვანელო თემალმასკომებისათვის (გაყიდულია). |
| 4. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული 1924 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 2 მ. — | 19. ბროშურა „კომლის გაყრა“—მ. ქორქაშვილი — 20 კ. |
| 5. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1925 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 1 მ. 50 კ. | 20. „საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის ახსნა განმარტებანი მიწის კოდექსის ზოგიერთი მუხლებისა“—(გაყიდულია). |
| 6. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1926 წ. ქართულ და რუსულ ენაზე 3 მ. 10 კ. | 21. „იუსტსახკომის მომქმედი 1925 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ 1 მ. — |
| 7. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. ქართულ ენაზე 3 მ. — | 22. ბროშურა „მიწის შრომითი იჯარა“— 15 კ. ა. ალხოვი. |
| 8. საქ. ს. ს. რ. მუშ. და გლეხ. მთ. კან. და განკარგულებათა კრებული 1927 წ. რუს. ენაზე 3 მ. — | 23. „მსჯავრდადებულთა ცნობარი“ 1924 და 25 წ.წ. 3 მ. — |
| 9. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი. | 24. „იუსტსახკომის მომქმედი—1926 წ. ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებული“ (იბეჭდება). |
| 10. სამოქალაქო პროცესი. სახელმძღვან. ს. ჯაფარიძისა.—ქართულ ენაზე . . 1 მ. 65 კ. | 25. „საქართველოს ს. ს. რ. შრომა გასწორების კოდექსი“ —50 კ. |
| 11. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო კოდექსი, ქართულ ენაზე 1927 წ. გამოცემა — 75 კ. | 26. „შრომითი მიწის მოსარგებლე და მისი უფლება მოვალეობანი —კ. მიქელაძე. (პოპულარული წიგნი) —50 კ. |
| 12. იგივე რუსულ ენაზე — 75 კ. | 27. „სახალხო მსაჯულის უფლება—მოვალეობანი სასამართლოში“ — 25 კ. |
| 13. საქ. ს. ს. რ. სამოქალაქო სპროცესო კოდექსი ქართულ ენაზე — 45 კ. | 28. „ნასყიდობა“—ა. ალხოვისა — 70 კ. |
| 14. საქ. ს. ს. რ. სასამართლოს წყობილების დებულება, ქართულ ენაზე — 25 კ. | 29. „Действующее законодательство о порядке перехода и обложения налогом имуществов, переходящих по наследованию и дарению“ И. Паичадзе. სისხლის სამართლის კ—ც. 70 კ. |
| 15. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამ. სპრ. კოდ. 1927 წ. გამოცემა — 70 კ. | 30. საქ. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსი ქართულ და რუსულ ენაზე — 65 კ. |

ამის გარდა გამომცემლობას შეუძლიან მიაწოდოს მსურველთ რ. ს. ფ. ს. რ. და უკრ. რესპ. იურიდიული ლიტერატურის ყველა ახალი გამოცემა.

ყველა მოთხოვნას კანონთა კრებულის, კოდექსების და იურიდიული ლიტერატურის გაგზავნის შესახებ გამომცემლობა ასრულებს დაუყოვნებლივ ფოსტით ფულის მიღების უშუალოდ ან და ფასდადებით გაგზავნის შესახებ მოთხოვნის მიღებისთანავე.

შეკვეთით უნდა მიმართონ: ტფილისი, ტრიბუნალის ქ. № 32, იუსტ. სახ. კომის. გამომცემლობას. ტელეფონი—13—68.

საბჭოთა საშენობელი

34 (05)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საბჭოთა

ს. 13.

რედაქციის და კანტორის

მისამართი:

საქონლის უბანი:

თბილისი, რედაქციის

№ 32


ტელ. ტყეშელაშვილი

წლიურად — 10 მან.

6 თვით — 5 მ. 50 კ.

3 თვით — 3 მ.

ნომერი 50 კ.



№ 20

15 თებერვალი 1928 წ.

№ 20

ჩარჩული დამცველობის დაცვა ანუ „მარქსისტული“ აბლაგუდა

თუ ჩვენი სასამართლო ორგანოები მთელი თავისი არსებით და ფორმით მოწყობილია მუშების და გლეხების ინტერესების დასაცავად და მომარჯვებულად ემსახურება მცხოვრებთა უღარიბეს ნაწილს, საუბედუროდ ამას უკლებლივ ვერ ვიტყვიტ დამცველთა კოლეგიაზე. ეს ორგანიზაცია დღემდე ისეთ ფორმაშია დარჩენილი, რომელსაც მშრომელთა მასების სამსახური ჯერ კიდევ 100%-ით ვერ უკისრნია. არაერთგვაროვანად არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ კარგი ნიჭიერი და გამოცდილი დამცველის დაქირავება მხოლოდ მდიდარს შეუქლია. ამის მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია არა დამცველთა შემადგენლობა, არამედ ის ფორმები, რომლებშიაც დღემდე დამცველს უხდება მუშაობა. მართალია, ოქტომბრის რევოლუციამ დაცვის მეთოდებში ერთგვარი რეფორმა შეიტანა, მაგრამ ისინი მაინც უფრო ძველსა ჰგავს, ვიდრე ახალს, მათ უფრო ვაკრული ხასიათი აქვთ, ვიდრე საზოგადოების მოღვაწეობის.

ამან გამოიწვია ახალი მეთოდების ძებნა საბჭოთა ყველა რესპუბლიკებში და აგრეთვე ჩვენშიაც. ამ მიზნით ამხ. ვარძიელმა მოათავსა ყურნალ „საბჭოთა სამართალი“-ს მე-13 ნომერში თეზისები, რითაც ის გადაჭრით აყენებს საკითხს დამცველთა ახალ მეთოდებით მუშაობის შესახებ, მაგრამ ეს არ ეკაზნიკა მოქ. გრ. გიორგაძეს, ის დამცველთა კოლექტივისაზიის წინააღმდეგ ილაშქრებს და ნუ იტყვიტ პირდაპირ „მარქსიზმით“ და „ლენინიზმით“. თურმე ეს ორი უდიდესი კოლექტივისტი მთელი თავისი არსებით წინააღმდეგი ყოფილან დამცველთა კოლეგიის გაკოლექტივებისა! მოქალაქე გიორგაძე უფრო შორს მიდის; ის სარგებლობს კოლეგიის საკითხის დაყენებით და „ღრმა ანალიზს“ უკეთებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას (ანუ როგორც ის იხსენიებს „ნეპ“-ს) და კომპარტიის დღევანდელ პოლიტიკურ გეზს. ის ყველაფერს „ნეპის“ სათვალეებით ათვალეირებს: მე XV პარტიურილობის რეზოლუციებს, სოციალისტურ აღმშენებლობას, საბჭოთა სამართალს და დამცველთა კოლეგიასაც. რაც „ნეპ“-ს ეგუება, მისი აზრით ის მარქსისტული და ლენინისტურია, რაც არა ის არ ვარგა. სწორედ ეს ახასიათებს მენშევიზმს თავისი სიგრძე სიგანით.

მენშევიკის ანუ წვრილ ბურჟუას აზრით „ნეპ“-ი არსებაა, თვით მიზანია და არა ფორმა. არა საშუალება.

ის კი არ იზომება სოციალისტურ აღმშენებლობის პრინციპებით, არამედ თვით „ნეპ“-ის არშინით იზომება სოციალისტური ლენინიზმით. ერთი სიტყვიტ „ნეპი“ ბაზისია, სხვა ყოველივე კი და მათ შორის სოციალიზმიც ზედნაშენი.

კომუნისტი „ნეპ“-ს უყურებს როგორც საშუალებას სოციალიზმის აღმშენებლობისათვის. საბჭოთა აღმშენებლობის, მისი საქმიანობის მიზანი და შინაარსი სოციალიზმი და არა „ნეპ“ი. კომუნისტი სოციალიზმის საზომით სინჯავს თვითონ „ნეპ“-ს. „ნეპ“-ში, მხოლოდ ის არის კარგი და მისაღები, რაც კოლექტივიზმს-სოციალიზმს ამაგრებს, აახლოვებს, ხოლო, რაც მას აენებს ის „ნეპ“-ის პროგრამიდან უნდა გამოირიცხოს.

მარქსისტი ყოველივე მოვლენას განვითარების პროცესში იხილავს, მისთვის ყოველივე ცოცხალი და არა გაყინული, უცვლელი არსება. „ნეპ“ საც, მხოლოდ ასეთ დინამიურ პროცესში უნდა ვიხილავდეთ. „ნეპ“-ი კოლექტიური და კერძო სექტორთა სტატიკური შეთავსების ფორმა კი არ არის, როგორც ეს მოქ. გრ. გიორგაძეს ჰგონია, პირიქით ეს ცოცხალი მოვლენაა, რომელშიაც ერთი ნაწილი—სოციალისტური სექტორი - უწყვეტლად იზრდება, უტევს, აწუხებს, ხოლო მეორე—კერძო სექტორი—სუსტდება, ვიწროვდება, უკან იხევს. ერთი სიტყვიტ „ნეპ“-ი ბრძოლაა, რომელშიაც კოლექტივიზმი-სოციალიზმი უდრეკელ ნაბიჯებით წინ მიიწევს.

„ნეპ“-ი სოციალისტურ და კაპიტალისტურ ელემენტთა ბრძოლაა“ — ამბობს ლენინი.

ის „ნეპ“-ი კი, რომელსაც მოქ. გიორგაძე ყოველივეს ბაზისათ აღიარებს, მენშევიკურია, ის უსტრიალოგების და პერსელების „ნეპ“-ია.

— „ნეპ“-ი დღევანდელ პირობებში სცნობს შესაძლებლად და საჭიროდ კერძო უფლებრივ სექტორის არსებობას კანონით ნაფულისხმებ პირობებში. ამ საფუძველზე (ხაზი ჩემია ი. ტ.) დამყარებული, საბჭოთა სამართლის კოდექსის არსებობა. წაართვიტ „ნეპ“-ს ეს თვისება და მოისპობა, როგორც „ნეპ“ი, ისე სამოქალაქო სამართლის კოდექსი—ამბობს გრ. გიორგაძე. მისი აზრით „ნეპ“-ი „საფუძველია“, ხოლო საბჭოთა სამართალი „მასზე დამყარებული“ ზედნაშენია. „ნეპ“-ი კი გიორგაძის აზრით კერძო ვაჭრობა—მრეწველობაა კანონის

ფარგლებში (განა კაპიტალისტურ ქვეყნებში ვაჭრობა-მრეწველობა კანონის ფარგლების გარეშე არსებობს)? ამ ფარგლების შელახვა „იქნება კერძო უფლებების და სამართლიანობის შელახვა“, ამიტომ ძირს კოლექტივები, გაუმარჯოს კერძო ინიციატივას—ჩარჩობას!—გაიძახის გრ. გიორგიძე.

ვერა, მოქ. გიორგიძე, ვერ დავიჯერებთ, რომ თქვენი ანალიზი მარქსისტულია, რომ თქვენ მაგ წერილში ლენინის აზრს იცავთ. თქვენი მისწრაფება კერძო სექტორია—კოლექტიურის წინააღმდეგ, ლენინის კი—კოლექტივიზმში ჩარჩულის დასამზობად.

საკმარისია გადავათვალიეროთ კომპარტიის მე-XV ყრილობის რეზოლუციები: იქ ყველგან მსხვილი ასოებით არის დაწერილი: „სასტიკი ბრძოლა კაპიტალისტის და კულაკის წინააღმდეგ ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის“, და ეს ლოზუნგი კი არ არის, არამედ ყოველ დღიური საქმიანობა და წინსვლის აუცილებელი ხაზია. მისი განსახიერება: იაფი სესხი, ადვილი მომარაგება და უაღვაღე შეღავათები კოლექტიურ მეურნეობებს—კოოპერაციას; მძიმე გადასახადი, ძნელი მომარაგება და ყოველგვარი შევიწროება კერძო ვაჭარ-მრეწველს და კულაკს.

მკაცრი ბრძოლა მიწის ნაციონალიზაციის კანონთა დამრღვევებს, მევახშეებს, შრომის კანონთა დამრღვევებს, გადასახადის აცილებისათვის ქონების გადაშლას, ხაზინის დოვლათის გაფლანგვლებს, უთადარიგობას, სპეკულიაციას და სხვა. ეს არის უფლებრივი განსახიერება საბჭოთა ეკონომიურ ღონისძიებების.

ასეთია კომპარტიის გეზი და ეს არის იმავე დროს „ნებ“-ის დინამიკა. მოქ. გიორგიძის „გეზი“ კი ანტი-კოლექტივისტური და ანტისოციალისტური ზიგზაგაა.

დამცველთა კოლეგია—საბჭოთა სამართლის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაწილია, მისი ორგანოა, და შეუძლებელია ის აცდეს საბჭოთა სამართლის საერთო ხაზს. ის ვერ უარყოფს კოლექტივიზმს, რომელსაც საბჭოთა სამართალი მთელი თავისი არსებით ემსახურება, ის ვერ გაჰყვება კერძო ჩარჩულ გზას, რომელსაც საბჭოთა სამართალი მედგრად ებრძვის. ის ან უნდა იყოს საბჭოთა სამართლის ორგანო, მისი იდეის და საქმიანობის მატარებელი, ან უნდა მოკვდეს, სხვა გზა არ არსებობს. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ დამცველთა მთელი მასა კვლავ დარჩება საბჭოთა სოციალისტურ სამართალთან, იბრძოდება მასთან ერთად კოლექტივიზმისა და სოციალიზმისათვის და ჩარჩულ კულაკურ იდეოლოგიებს არ გაჰყვება.

ი. ტალახაძე.

მოკასუნენი სოლიდარული პასუხისმგებლობის სარჩელზე*)

საქ. სამოქ. სამ. კოდექსი არ იძლევა გარკვეულ თეორიულ განმარტებას სოლიდარულ პასუხისმგებლობის ცნებისა და ემყარება 115 მუხლს. ამ მუხლის 1 ნაწილი

*) საკითხის განხილვის წესით.

იძლევა მხოლოდ პირობებს სოლიდარულ პასუხისმგებლობისათვის. ეს პირობებია—ხელშეკრულება და კანონი. „სოლიდარული პასუხისმგებლობა მყარდება, თუ ის გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან დაწესებულია კანონით“, ამბობს კოდექსი. მაგრამ ერთი წუთით რომ გვერდი ავუხვიოთ ამ პასუხისმგებლობის კანონით დაწესების საკითხის, არ შეიძლება ყურადღება არ შევაჩეროთ მის ხელშეკრულებით გათვალისწინებაზე.


რაკი ყოველნაირი ხელშეკრულების განმარტება უნდა მოხდეს, როგორც მასი შინაარსის, ისე მისი ფორმის მიხედვით, არ შეიძლება უარვყოთ ლოლიკური დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ ყოველ კერძო შემთხვევაში სოლიდარული პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული, სასამართლოში სარჩელის აღძვრისას, უნდა დადასტურდეს სასამართლოს მიერ და არა მარტო კრედიტორის ანუ მოსარჩლის განცხადებით.

115 მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია კრედიტორის უფლებები სოლიდარული პასუხისმგებლობაში. მას „უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება როგორც ყველა მოვალისაგან ერთად, ისე თვითეულისაგან ცალ-ცალკე; ამასთანავე მას შეუძლიან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება როგორც მთლად, ისე ნაწილობრივ, უკეთუ რომელიმე მოვალისადმი გადახდევინება ვერ მოხერხდა, კრედიტორს შეუძლიან მთელი დანაკლისი გადახდევინოს დანარჩენ მოვალეებს“, ამბობს კანონი. ჩვენის აზრით ეს უფლება კრედიტორისა უნდა დაამყაროს სასამართლომ ერთ დროულად ერთი გადაწყვეტილებით, და არა რამოდენიმე სხვადასხვა დროის გადაწყვეტილებით, კრედიტორის არჩევით ან მის მიერ მითითებული წესით.

რაკი სასამართლოს გადაწყვეტილებით დამყარებულია სოლიდარული პასუხისმგებლობა მოვალეებისა, მაშასადამე ამითვე დაწესებულია 115 მუხლის 2 ნაწილიდან გამომდინარე შედეგები.

თუ სოლიდარულად მოპასუხეები არიან ა, ბ, და გ, მაშინ არ შეიძლება აღვძრაოთ სარჩელი (და არა შესრულების მოთხოვნა) მორიგეობით ჯერ ა, შემდეგ ბ, და ბოლოს გ. წინააღმდეგ შესრულების მოთხოვნის წარდგენა არ უნდა შევიზოთ სარჩელის აღძვრის ცნებაში. პირველი მყარდება, როგორც შედეგი სარჩელის აღძვრის და არა პირუკულმა. სხვანაირი განმარტება მიგვიყვანდა იმ დასკვნამდის, თითქოს შეიძლება ერთსა და იმავე ვალდებულებაზე რიგ რიგად აღძვრას რამდენიმე სარჩელი მოვალეთა რიცხვის ან ვალის გადახდევინების რაოდენობის მიხედვით. ასეთი დებულება უთუოდ დაარღვევდა საპროცესო სამართლის ძირითად ფუძეს ანუ ერთისა და იმავე საქმის ორჯერ გადაწყვეტის შეუძლებლობის პრინციპს, დაარღვევდა რომაულ „Non bis in ideni“-ის საფუძველს.

კანონით დაწესებულ სოლიდარული პასუხისმგებლობის ტიპიურ სახეს წარმოადგენს თამასუქი—სათამასუქო დებულების 9 მუხლის ძალით, თამასუქზე ხელის მომწერი ყოველი პირი და აგრეთვე გადაცემის წარმწერი პასუხისმგებელი არიან თამასუქის პატრონის წინაშე



როგორც ერთობლივი მოვალენი. მეორე სახე ასეთი პასუხისმგებლობისა ნააჩვენებია 116 მუხლში სამოქ. სამ. კოდექსისა. ამის ფუძედ ითვლება ვალდებულების საგნის განუყოფლობა.

თამასუქით კრედიტორის დაკმაყოფილების საშუალება ნაჩვენებია სათამასუქო დებულებაში. კანონით დაწესებულ ვადაზე თამასუქის პატრონი წარუდგენს თამასუქს პროტესტის შემასრულებელ ორგანოს; ეს უკანასკნელი მიმართავს გადახდევინების მოთხოვნით თამასუქის ყველა გამცემს, მათ შორის ბლანკზე წარმწერებსაც და თუ ვადაზედ არც ერთმა არ გადაიხადა, თამასუქი წავა პროტესტში თამასუქის ყველა გამცემის მიმართ. ამის შემდეგ აღმასრულებელი წარწერა ამყარებს თამასუქის პატრონის (კრედიტორის) უფლებას გაპროტესტებულ თამასუქზე ყველას მიმართ.

აქედან უკვე კრედიტორის სურვილზეა დამოკიდებული თუ რა საშუალებას აირჩევს თავის უფლების განსახორციელებლად ე. ი. ისურვებს ის ყველა მიმართ მიაქციოს გადახდევინება თუ აირჩევს ზოგიერთს მათგანს.

სამოქალაქო პროცესის ძირითადი პრინციპი მოითხოვს, რომ სარჩელის მოპასუხეთ ყველა მოვალე იყოს გამოწვეული. სოლიდარულ პასუხისმგებლობაში კრედიტორის სასარგებლოდ რაიმე გამონაკლისის დაშვება სრულიად უსაფუძლოა, მით უმეტეს როცა ეს გამონაკლისი გამოიწვევს ნამეტან ვაკუანტურებას პროცესში. ეს არ შეიძლება ჩავიდინოთ სამ. საპ. კოდ. 77 მუხ ბ. წერტის, 164 და 166 მუხლის ძალითაც. ამ მუხლების ძალით სავალდებულოა ზუსტად მითითება იმ მოპასუხისა, რომელიც უნდა გამოცხადდეს სოლიდარულად პასუხსაგებ სარჩელზედ. განსაკუთრებით ხაზგასმულია სამ. საპრ. კოდ. 164 მუხლში ის, რომ ერთი მონაწილეთაგანი სოლიდარულად პასუხსაგებს სარჩელში, უთუოდ მოქმედებს სხვების ან სასარგებლოდ ან საზარალოდ. ერთ-ერთი მოპასუხის გამოუწვევლობა სოლიდარულად პასუხსაგებ სარჩელში ართმევს მას საშუალებას გაუმართლოს მოთხოვნა კრედიტორს იმ საბუთით ან შეკამათებით, რაც მარტო ერთს (მას) გააჩნია, აგრეთვე გაამართლოს მის თანამოვალეთა შეუფერებელი მოქმედებანი.. აგრეთვე თავის დროზე უნდა ეცნობოს, მოსალოდნელ გადასახდევინებელზე, ყველა სოლიდარულ მოპასუხეს. ეს მათი უდაო უფლებაა მხარეთა თანასწორობის პრინციპის მიხედვით,

სამ. სამ. კოდ. 115 მუხლში მოხსენებული უფლება კრედიტორისა მოსთხოვოს შესრულება ყველა მოვალეს ერთად, აგრეთვე თვითვეულს ცალ-ცალკე და მასთან როგორც მთლად, ისე ვალის ნაწილის, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ კრედიტორის უფლებად მიუთითოს მოპასუხებზე თავისი ამორჩევით. სასამართლოშიც მოვალენი თავს იცავენ სოლიდარულად და არა პერსონალურად. ერთ-ერთის გამოუწვევლობა კი ართმევს მათ უფლებას ასეთი თავის დაცვისა ყოველი კანონის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით სოლიდარული მოთხოვნის უფლება წარმოიშობა კრედიტორისათვის თვით (და მხოლოდ) სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგით, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილებულია მოპასუხეთა სოლიდარული პასუხისმგებლობით. მაგრამ ჩვენი სასამართლოს პრაქტიკა საკითხს

სწყვეტს სხვანაირად. თვით უზენაესი სასამართლოც, ერთს საქმეში მივიდა იმ დასკვნამდის, რომ „სოლიდარულ პასუხისმგებლობის დროს არ არის აუცილებელი წარედგინოს სარჩელი ორს ან რამდენიმე მოპასუხის მიმართო...“ პრაქტიკაში ს.ს. კოდ. 105 მუხ. ასეთი განმარტება ართმევს თვითვეულ მოპასუხეს უფლებას ერთ პიროვნულად თავის დროზე, გადაიხადოს ვალი, დაიკავოს კრედიტორის ადგილი და მიაქციოს გადახდევინება თავის ყოფილ თანამოვალეთ. ამით ირღვევა 115 მუხლის 3 ნაწილი.

ა. მიტკევიჩი.

საადგილმამულო დავის განხილვა*)

მიწის კოდექსის მესამე ნაწილის მე-117 კარი შეიცავს საადგილმამულო დავის განხილვის საკითხს. კარში სულ ექვსი მუხლია, რომლითაც კანონმდებელს განუზრახავს საადგილმამულო დავის განხილვის ორგანიზაციისა და სხვა მხარეების ამოწურვა. ეს, თავისთავად ცხადია, შეუძლებელი იყო. მაგრამ ის, რაც არის ამ ექვს მუხლში, შეიცავს წინააღმდეგობას და იწვევს დიდ გაუგებრობას.

დავიწყოთ კარის პირველ მუხლიდან, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: „ყოველგვარი დავა, რაც კი აღიძვრის მიწათმოწყობის დროს, აგრეთვე ყოველივე დავა მიწის სარგებლობის უფლების შესახებ, როგორც მაგალითად, ჯგუფობრივი ან ინდივიდუალური მიწისსარგებლობა, საზოგადოებიდან მიწის გამოყიდვა, სათემო მიწის ხელახალი განაწილება და სხვ., უნდა გადასწყვიტოს რაიონის და მაზრის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიამ და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭომ“.

ვინც იცნობს საადგილმამულო სასამართლო ორგანოების დღევანდელ მუშაობას, ის დაგვეთანხმება, რომ ეს ორგანოები სწყვეტენ ყველა საადგილმამულო დავას, გარდა იმისა, რაც ამ მუხლშია მოხსენებული.

მუხლის შინაარსი პირდაპირ ლაპარაკობს სამიწათმოქმედო დავებზე: ჯგუფობრივი, ინდივიდუალური მიწისსარგებლობა, საზოგადოებიდან მიწის გამოყოფა, სათემო მიწის განაწილება—ყველა ეს მხოლოდ და მხოლოდ სამიწათმოქმედო დავა. საადგილმამულო სასამართლო ორგანოები კი სწყვეტენ მარტო დავას კერძო პირთა შორის, როგორცაა შემკვიდრების ნიადაგზე აღმოცენებული დავა, გზების, საწისქვილოების, სამოსახლოების და სხვა ამგვარი, რომელთაც მიწათმოწყობასთან არავითარი კავშირი არა აქვთ. თუ ვიტყვით, რომ იმავე მუხლში არის სიტყვები „და სხვ.“, რომლებიც გულისხმობენ კერძო პირთა ანა მიწათმოწყობის დავასაცო, ეს სუსტი არგუმენტაცია იქნება, ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ კანონში ისეთი სიტყვები, როგორცაა „და სხვ.“, არ უნდა იყოს დაშვებული და მეორეც ის, რომ ნუ თუ ძნელი იყო ორიოდე სიტყვით იმის გამოთქმა, გამოხატვა, რაც შეადგენს საადგილმამულო სასამართლო ორგანოების მთავარ და თითქმის ერთადერთ კომპენტენტციას. ამ ნაკლს რამოდენიმედ ჰფარავს მე-163 მუხლის პირველი აბზაცის „ბ“ პუნქტის შინაარსი, მაგრამ ეს არ კმარა.

*) დიკუსიის წესით.

ყველაფერი ეს იმის შედეგია, რომ საადგილმამულო სასამართლოს კომპენეტენციის განსაზღვრის დროს ორი აზრი ტრიალებდა, ერთი იუსტიციის მუშაკთა, რომელთაც არ უნდოდათ, რომ არა მიწათმოწყობის დავის განხილვა გადასულიყო საადგილმამულო სასამართლო ორგანოებზე და მეორე საადგილმამულო პოლიტიკის მუშაკთა, რომლებიც წინააღმდეგ პოზიციას იცავდნენ. კომპრომისული რედაქცია ამ მუხლისა გამოვიდა უსიცოცხლო და დღენაკლული, ეს მხოლოდ ქალაქზე დარჩა და ცხოვრებაში არ ტარდება, რადგან ყველა ის დავა, რაც მოხსენებულია მიწის კოდექსის მე-161 მუხლში, სინამდვილეში ირჩევა სამაზრო აღმასკომების მიწათმოქმედების განყოფილებათა საადგილმამულო კოლეგიებში და არა სასამართლო კოლეგიებში. და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან სასამართლოებზე ამ დავის გადაცემა გააჭიანურებს ისედაც ნელი ნაბიჯით მიმავალ მიწათმოყობის მუშაობას. ცხადია ასეთი კანონი უნდა შეიცვალოს, ე. ი. საადგილმამულო სასამართლო ორგანოები დარჩეს დღევანდელ სტრუქტურით, მაგრამ კომპეტენცია ჩამოყალიბდეს კანონში ისე, როგორც საჭიროა.

მეორე გაუფებრობა და შეუსაბამობა ჩვენ გვხვდება 162 მუხლის მეორე შენიშვნაში, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „საადგილმამულო სასამართლო ორგანოების მოქმედებას ზედამხედველობას გაუწევს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და პროკურატურა საერთო წესისამებრ“. საადგილმამულო სასამართლო ორგანოებში შედის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოც რომელსაც შეუძლია საქმეების მიხედვით შეასრულოს როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის როლი (იხ. მუხ. 163 მიწ. კოდექსი. უკანასკნელი აბზაცი). სინამდვილეში კი საბჭო ასრულებს ზედამხედველის როლს მაშინ, როდესაც კანონით ეს როლი ეკუთვნის მიწათმოქმედების კომისარიატს, როგორც ასეთს (და არა საბჭოს) და პროკურატურას. ორში ერთი, ან კანონი უხეიროთაა დაწერილი, ან ის არ სრულდება. ორივე ძლიერ სამწუხაროა. მართლაც, როგორ შეიძლება, რომ ერთი და იგივე პირები მოსამართლეებიც იყვნენ და მათ მიერ გარჩეულ საქმეების ზედამხედველობის წესით გამრჩენილ? დღეს კი სწორედ ასე გამოდის: საადგილმამულო საბჭოს თავმჯდომარე არის მიწათმოქმედების კომისარი (ან მისი მოადგილე) და იმავე საბჭოს ერთი წევრი (ორიდან) იმავე კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების გამგე. კომისარიატს კი, უკეთეს იგი შეუდგება ზედამხედველობის წესით საქმეების გასინჯვას, ამის შესრულება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ იმავე პირების მეშვეობით.

მესამე შეუსაბამობათ ჩვენ ვთვლით 163 მუხლის რედაქციას, რომელშიც ნახმარია სიტყვა „საადგილმამულო საზოგადოება“. სინამდვილეში კი და არც თვით მიწის კოდექსში ასეთი რამ არ არსებობს. მოხდა ეს იმიტომ, რომ მთელი ეს კარი უფრო ნათარგმნია რუსულიდან, ვიდრე ჩვენს პირობებთან შეფარდებული.

161 მუხლის ბოლოში ვკითხულობთ: „ამ დაწესებულებებში (ე. ი. საადგილმამულო სასამართლო ორგანოებში ვ. გ.) საქმე გაიჩევა საჯარო სხდომაზე, მხარეთა დაბარებით და შეჯიბრებითი წესისამებრ“; 165 მუხლში

კი სწერია: „მაზრის საადგილმამულო სასამართლო კოლეგიაში და საადგილმამულო საბჭოში საქმე გადაწყვეტილებაზე შეტანილი საჩივრის გამო გაიჩევა მხარეთა დაუსწრებლად...“ არის თუ არა აქ წინააღმდეგობა? ზოგი იურიდიული განმარტებითა და მოსაზრებით შეიძლება არ იყოს, მაგრამ კანონი იწერება არა მარტო იურისტებისათვის.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ 166 მუხლის მიხედვით მაზრისა და რაიონის საადგილმამულო კოლეგიას უნდა ჰყავდესთ მდივანი, მაგრამ არც ერთ სასამართლო კოლეგიას ასეთი ჯერ არ უნახავს და მთელ საადგილმამულო დავის გამო აღძრულ საქმეებს აწარმოებენ სამოქალაქო საქმეებით ისედაც გადატვირთული ტენიკური მომუშავენი. მართალია, საადგილმამულო საქმეები შედარებით სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებთან ცოტაა, მაგრამ ამით თავის გამართლება არ შეიძლება.

ჩვენის აზრით მიწის კოდექსის ამ ნაწილის გადასინჯვა უნდა მოხდეს რაც შეიძლება ზედმიწევნით და იგი უნდა იქნეს შეფარდებული სინამდვილესთან.

გ. გოგილაძე.

ერთი გაუფებრობის ბასარკმევად

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 11 №-ში მოთავსებული ჩვენი წერილის („საკასაციო ინსტანციაში საქმის ახალ გარემოებაზე მითითება“) საპასუხოთ ს. ჯაფარიძის მიერ ამავე ჟურნალის 14 №-ში გამოქვეყნებულია საგულისხმო წერილი შემდეგი სათაურით: „საკასაციო ინსტანცია და მისი დანიშნულება“. სანამ არსებითად შევეხებოდეთ მასში მოცემულ დებულებებს, საჭიროთ ვსცნობთ წინასწარ გამოვსტევათ უაღრესი გაკვირვება იმის გამო, თუ საიდან და როგორ მივიდა პატივცემული მოკამათე იმ დასკვნამდე, რომ „ბ. ფურცხვანიძის მსჯელობას ეტყობა აშკარა წინააღმდეგობა...“; ს. ჯაფარიძის წერილში ნათლად ვერ არის გაშუქებული საფუძველი ჩემი მსჯელობის „წინააღმდეგობისა“, მაგრამ შეიძლება მარტოდენ მიხედვრით ლაპარაკი მასზედ, რომ ს. ჯაფარიძის უქმყოფილება გამოწვეულია ჩემს მიერ აღნიშნულ წერილში მოყვანილ ორ დებულებით: ერთი შემდეგი შინაარსისაა: „ჩვენ არა გვაქვს წმინდა საკასაციო ინსტანცია ამ სიტყვის ვიწრო ფორმალური გაგებით და საბჭოთა სასამართლოების სისტემაში სააპელაცია სასამართლოს უქონლობის გამო საკასაციო სასამართლო თავისი ბუნებითა და დანიშნულებით ნაწილობრივად ითვისებს სააპელაციო სასამართლოს ფუნქციებს“; მეორე კი წერილის დასკვნით ნაწილში გამოთქმული სურვილია: „...აუცილებლად მიზანშეწონილი და დროული იქნება საკანონმდებლო გზით ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენებული დებულების ცხოვრებაში გატარება“. საიდან გამომდინარეობს ამ ორ წინადადების დაპირისპირებიდან აზრთა წინააღმდეგობა, ვერ მივხედვრითვართ, ალბათ ს. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ მაშინ, როდესაც ცხოვრება საერთოდ ყოველ წამს უსწრებს კანონმდებლობას და წერილობით ნორმებს (და ეს უფრო თვალსაჩინოა ჩვენს სინამდვილეში), ყველაფერი ის, რაც არსებობს, ძალაშია—აუცილებლად საკანონმდებ-

ლო გზით არის მოგვარებული. კერძოთ ს. ჯაფარიძეს, ექვს გარეშეა, სხვაზე ნაკლებ არ მოეხსენება, რომ ჩვენ სასამართლოების მთელ რიგ წლების პრაქტიკასა და ყოველ დღიურ საქმიანობაში ადგილი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრების საჭიროებით გამოწვეულ ისეთ მოვლენებს, რაც ჯერ კიდევ არ არის საკანონმდებლო ორგანოების მიერ საბოლოოთ დაკანონებული და ნუთუ „მსჯელობის წინააღმდეგობაა“ იმის სურვილი, რომ ის, რაც სინამდვილეში ხდება, საბოლოოდ დაწესდეს და დაკანონდეს. არ ვფიქრობთ, რომ ეს ასე იყოს—პირიქით მოხსენებული აზრის გამოთქმა ლოდიკური მსჯელობა და ნააზრევი დასკვნაა. ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, რომ ჩვენი საკასაციო სასამართლო ნაწილობრივად ითვისებს სააპელაციო სასამართლოს ფუნქციებს (მაგ. საქმისათვის მნიშვნელოვანი ახალი გარემოებათა ვადასინჯვა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების არსებითად შეცვლა ახალი დადგენილების გამოტანით და სხვ.). ასეთი გარემოება ჩვენს სინამდვილეში აუცილებელიც არის და ის უნდა იქნეს სათანადო წესით დაკანონებული. სად აქვს აქადგილი აზრთა წინააღმდეგობას, არ ვიცი და ეს მოსაზრება ს. ჯაფარიძეს სრულიად უსაფუძვლოდ აქვს გამოთქმული.

ეხლა შევხვით ს. ჯაფარიძის წერილის ძირითად შინაარსს: პატივცემული მოკამათე საკასაციო სასამართლოს დანიშნულებას უაღრესად ვიწრო ფორმალური თვალსაზრისით უდგება და საბჭოთა საკასაციო სასამართლოს მოქმედების არეს ბურჟუაზიული სახელმწიფოს (კერძოთ ფრანგული) საკასაციო სასამართლოთი ფარგლავს. დასამტკიცებლად იმისა, რომ დღევანდელ ჩვენ საკასაციო სასამართლოს მარტოოდენ წმინდა საკასაციო ფუნქციები უნდა ქონდეს,—ს. ჯაფარიძე მიმართავს მთელ რიგ იურისტებისა და საბჭოთა პასუხისმგებელ მუშაკების ნაშრომთ (დაწყებული რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისრით—და გათავებული ალექსანდროვსკითა და ფიშმანით), მაგრამ რისთვის ან ვისთვის იყო საჭირო ს. ჯაფარიძის მიერ ამოტენა მიმხილვის გაკეთება, არ ვიცი. განა ექვი ეპარება ვისმეს მასში, თუ როგორ არის გაგეაული სამართლის თეორიით საერთო საკასაციო ინსტანციის დანიშნულება? ან განა ცნობილი არ არის ისიც, თუ რა სახით ქონდათ წარმოდგენილი საკასაციო სასამართლოს მოქმედება საბჭოთა პასუხისმგებელ მუშაკებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში და საერთოთ სასამართლოების ჩამოყალიბების პერიოდში? მაგრამ საქმე იმაშია, რომ ერთია—რამოდენიმე წლის წინეთ დაწესებული პირობები სასამართლოს მოღვაწეობის და მეორეა—სასამართლოების პრაქტიკით შეთვისებული ცხოვრებისათვის საჭირო წესები. ს. ჯაფარიძე ილაშქრებს საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს ნაწილობრივი ფუნქციების მითვისების წინააღმდეგ და უკვირს, თუ საიდან იქნება საქმის გაქიანურება, უკეთუ საკასაციო სასამართლომ ანგარიში არ გაუწია საქმის ისეთ ახალ გარემოებას, რომელიც არსებითად სცვლის 1-ლ ინსტანციის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. საქმის ყოველი გარემოება საქმის არსებითად გამჩევე სასამართლომ უნდა შეამოწმოსო და მის

განსჯაში ვერასგზით ვერ შევა საკასაციო ინსტანცია და თუ შევიდა, პირიქით მაშინ გამოვა საქმის გაქიანურება. მართალი მოგახსენოთ პატივცემულ ს. ჯაფარიძის მსჯელობა და დასკვნა რაღაც ერთი მეორეს ვერ ეგუება, იმის ნაცვლად, რომ საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს უქონლობის პირობებში მოსალოდნელ, გამოუსწორებელ შეცდომის აცილების მიზნით ნაწილობრივად მაინც ანგარიში გაუწიოს საქმის არსებით მზარეს, ს. ჯაფარიძე იძლევა დარიგებას საქმე იმგვარად იქნეს გადასინჯული, როგორც კაპიტალისტურ სახელმწიფოთა საკასაციო სასამართლოების მიერ ხდება, მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელში სამ საფეხურიანი სასამართლო არსებობს და ჩვენში კი ორსახიანი. განსხვავება მგონი დიდია, ს. ჯაფარიძის დებულება, რომ ტარდებოდა ცხოვრებაში (რასაკვირველია არა მთლიანად), მას შედეგათ ის მოყვა, რომ სრულიად უმნიშვნელო საქმე ჩვეულებრივი დროს ზევით 3 თვიდან ერთ წლამდე ჰიანურდებოდა და აი როგორ: სსსრ უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულოს 1927 წლის მუშაობიდან დასტურდება, რომ წლის ვანმავლობაში ზედამხედველობის წესით შემოსული საქმეთა რიცხვი მეტია, ვიდრე საკასაციო წესით შემოსული. ვეკითხებით პატივცემულ ს. ჯაფარიძეს, ნორმალურია თუ არა ეს გარემოება, რომელიც გამოწვეულია მით, რომ საკასაციო სასამართლო მთლიანად არ ატარებდა ცხოვრებაში ზემოთ აღნიშნულ და აგრეთვე „საბ. სამართლის“ 11 №-ში მოყვანილ ჩვენს დებულებას და მისი შედეგი იყო, რომ პირველ და საკასაციო ინსტანციების შეცდომების გამოსწორება რესპუბლიკის პროკურორსა და სხვ. უხდებოდათ ზედამხედველობის წესით. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ 80—90 პროც.—ზედამხედველობის წესით შემოსულ საქმეებისა ისეთი იყო, რომ მათი მესამეხელ გასაჩივრება აღარ იქნებოდა საჭირო—რომ საკასაციო სასამართლო საკითხს ვიწრო ფორმალურად არ მიდგომდა და თვით გამოესწორებია 1-ლ ინსტანციის მიერ დაშვებული შეცდომა, მაგრამ სამწუხაროთ ყოველთვის ასე არ ხდებოდა და ეს გარემოება იწვევდა საქმით დაინტერესებულ უკმაყოფილო მოქალაქეთა მიერ ახალ ინსტანციების გამოძებნის ცდას და ყველაფერი ეს სასამართლოს ავტორიტეტს ვერაფერს მატებდა, რადგან საკასაციო ინსტანცია, როგორც ზევით ვსთქვით, არ აქცევდა საკმაო ყურადღებას საქმის ისეთ ახალ გარემოებას, რომლის არსებობის შემდეგ განსაჩივრებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება, სხვა რომ არაფერი, დიდი უსამართლობა იყო და ამიტომ ერთ თვეში დასამთავრებელ სულ უმნიშვნელო საქმეში იძულებული ხდებოდა ჩარეოდა პროკურატურა თუ ცაკი, რაც დიდი ხნით აჭიანურებდა საქმეს და ფაქტიურად სამსაფეხურიანი (ხან მეტი) სასამართლო გამოდიოდა. ვფიქრობთ, რომ ეხლა ს. ჯაფარიძე აღარ გაიკვირებს, თუ რად იწვევს საქმის ზედმეტ და უმიზნო გაქიანურებას.

მთავარ მოტივით იმის დასასაბუთებლად, რომ „საქმის ფაქტიური გარემოების გამორკვევა, შეკრებილი მასალის შეფასება და სათანადო დასკვნის გამოტანა“ მხოლოდ 1-ლ ინსტანციას შეუძლია და არა საკასაციოსაც, ს. ჯაფარიძეს ის მოყავს, რომ სასამართლოს 1 ინსტან-

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
საპრესო ცენტრი

ცია შესდგება ერთი მუდმივ მოსამართლისაგან და ორი სახალხო მსაჯულისაგან, ხოლო საკასაციო მუდმივ მოსამართლეებისაგან, რომლებმაც ნაკლებ იციან ხალხის ცხოვრება, ვიდრე სახალხო მსაჯულებმა. საკითხისადმი ამგვარად მიდგომა არ გამოდგება ს. ჯაფარიძის მიერ დასახულ მიზნის განხორციელებისათვის, ე. ი. დასადასტურებლად იმისა, რომ საკასაციო სასამართლოს უფლებები არ იქნეს გაფართოებული. საქმე იმაშია, რომ განსხვავება სახალხო მსაჯულთა და მუდმივ მოსამართლეთა შორის „ხალხის ცხოვრების“ ცოდნის მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, სადაც მოსამართლეებათ გაბატონებული (ბურჟუაზიული) კლასის წარმომადგენლებია და ამრიგად ცხადია იქ სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტს სულ სხვა მნიშვნელობა ეძლევა; ჩვენში კი ამ მხრივ განსაკუთრებული პირობებია და ნუ თუ შეეცდება ვინმე იმის მტკიცებას, რომ ჩვენი სასამართლოების მუდმივი წევრები იგივე მშრომელი ხალხის წარმომადგენლები ნაკლებათ არიან გაცნობილინი“ ხალხის ცხოვრებას“, ვიდრე სახალხო მსაჯულები და რომ მათ მხოლოდ ამ მოსაზრებით არ შეუძლიათ საქმეში დაგროვილ მასალის შეფასება, სრულიადაც არა, ამგვარი მსჯელობა არ შეეფერება ჩვენს სინამდვილეს და უადგილოა აღძრული საკითხის გადასაჭრელად. ყოველ შემთხვევაში სახალხო მსაჯულების მნიშვნელობაზე აქ ზედმეტია ბაასი და საერთოდ ამ საკითხს არავითარი კავშირი არა აქვს საკასაციო სასამართლოს მოქმედებასთან, თუ მის უფლებათა განსაზღვრასა და გაფართოებასთან.

გაუგებრობას რომ არ ექნეს ადგილი, და **ს. ჯაფარიძეს** არ ეგონოს, თითქოს ჩვენ საკასაციო და პირველ ინსტანციის სასამართლოების „სხვადასხვა ფუნქციებს“ ერთმანეთში დომხალივით არევა“ გვსურდეს, ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ შემდეგს. საკასაციო სასამართლოს და საქმის არსებითად გამჩრევე სასამართლოს უფლება-მოვალეობა ცხადია ძირითადად განსხვავდება ერთი მეორისაგან, მათი შერევა სავსებით დაუშვებელი საქმეა და ვინც მას შეეცდება, ის დაგმობილი უნდა იქნეს, მაგრამ საქმის ინტერესის თვალსაზრისით იმ დებულებათა გამო, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ არის გაშუქებული, საკასაციო სასამართლოს მისთვის ადრევე მინიჭებულ ფუნქციებს უნდა დაემატოს კიდევ ორი, ერთი—მისთვის წარდგენილ ახალი, უდაო გარემოებისათვის ანგარიშის გაწევა, თუ ის არსებითად შემცვლელია პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების და მეორე—ამ უკანასკნელის გადაწყვეტილების საწინააღმდეგო დადგენილების გამოტანა საქმის ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნებლად უკეთუ სასამართლოს გამოძიებით დაგროვილი ფაქტიური მასალა და სასამართლოს გადაწყვეტილება შეუსაბამო, ერთი მეორესთან შეუთანხმებელია.

დასასრულ პატივცემულ მოკამათის საყურადღებოთ აღვნიშნავთ, რომ მისი, პრუშიცების, სემიონოვებისა და სხვათა „ურყევი“ შეხედულება ჩვენში საკასაციო სასამართლოს დანიშნულების შესახებ ძირფესვიანათ იქნა შერყეული სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის განმარტივებისათვის **აშ. ა. კაჭარავას** თავმჯდომარეობით დაარსებულ ავტორიტეტულ კომისიის მიერ, რომელმაც

მაც გააფართოვა საკასაციო ინსტანციის უფლებები მისთვის ნაწილობრივად სააპელაციო სასამართლოს ფუნქციების მითვისებით; სახელდობრ საკასაციო სასამართლოს მიენიჭა უფლება ი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების **არსებითად** შეცვლისა, რაც აკრძალული იყო სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 246 მუხლის მოთხოვნით (იხ. აღნიშნულ კომისიის დადგენილება ჟურ. „საბჭოთა სამართ.“ № 14 გვ. 350) და ამრიგად ერთის მხრივ გაზიარებული იქნა ის დებულება რასაც ჩვენ ვამტკიცებდით.


ბ. ფურცხვანიძე.

საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს და ქუთაისის გამსახლთან არსებულ განმანაწილებელ კომისიების შემსახებ *

შრომა გასწორების კოდექსის 16 და 17 მუხლების მიხედვით განმანაწილებელი კომისიები არსებობენ საქართველოს ს. ს. რ. საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოსთან და დასავლეთ საქართველოში კი ქ. ქუთაისის გამსახლთა მთავარ სამმართველოსთან. თანახმად იმავე შრომა-გასწორების კოდექსის 23 მუხლისა ხსენებული განმანაწილებელ კომისიებს მთელი რიგი მოვალეობებისა აქვთ დაკისრებული, კერძოდ მათ ეკისრებათ: 1) მაზრებში და სხვა ქალაქებში საპატიმრო სახლებთან არსებულ მეთვალყურე კომისიების მუშაობაზე მეთვალყურეობის გაწევა იმ მხრივ, თუ რამდენად სწორად ანაწილებს ეს უკანასკნელი პატიმართ დაწესებული კლასიფიკაციის მიხედვით; 2) პატიმართათვის მეთვალყურე კომისიის წარდგენით, სადისციპლინო გადასახადის გადაწყვეტა შრომა-გასწორების კოდ. 200 მუხ. 7, 8 და 9 პუნქტების წესით. 3) მეთვალყურე კომისიის წარდგენით პატიმართა გადაყვანა საშტრაფო რიგში და თანაც იზოლიაციის მიზნით მათი მოთავსება სპეციალური დანიშნულების იზოლიატორში ერთ თვეზე არა უმეტესი ვადით; 4) ორი სამუშაო დღის ჩათვლა თავისუფლების აღკვეთისა იძულების მუშაობის სამ დღედ შრომა-გასწორების კოდ. 76 და 77 მუხლების თანახმად და სხვადასხვა.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ მაზრებში და სხვა ქალაქებში არსებულ საპატიმრო სახლებთან მოქმედ მეთვალყურე კომისიასაც მთელი რიგი დავალებისა აქვთ დაკისრებული. კერძოდ კი შრომა-გასწორების კოდ. 34 მუხლით მათ ეკისრებათ: 1) პატიმარის პიროვნებაზე შეკრფვილ ცნობების მიხედვით წინასწარი განხილვა და განმანაწილებელ კომისიაში წარდგენა საკითხის პატიმარის ვადამდე განთავისუფლებისა. იძულებითი მუშაობის ბიუროზე გადარიცხვისა და შვებულების მიცემის შესახებ. 2) შუამდგომლობა განმანაწილებელი კომისიის წინაშე იმის შესახებ, რომ პატიმარი, რომელნიც ეწვეიან მძიმე ფიზიკურ შრომას ყოველი ორი დღე სამი დღით ჩათვალს;

*) დისკუსიის წესით.



3) შუამდგომლობა განმანაწილებელი კომისიის წინაშე პატიმრის ერთ დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის შესახებ;

4) შუამდგომლობა განმანაწილებელ კომისიის წინაშე პატიმართათვის 200 მუხ. 7, 8 და 9 წესისამებრ სადისციპლინო გადასახდელის დადების შესახებ და მრავალი სხვა.

ყველა იმ დავალებას, რაც დაკისრებული აქვთ, როგორც განმანაწილებელ ისე მეთვალყურე კომისიებს უსათუოდ უაღრესი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ ის მხოლოდ მაშინ მოგვეცემს სათანადო ნაყოფს, როდესაც დასმული კითხვები დროზე იქნება გადაჭრილი და მასზე მართებული პასუხი გაცემული, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ მნიშვნელოვან დავალებებს, რაც ეკისრებათ აღნიშნულ კომისიებს, დაეკარგებათ მნიშვნელობა და ერთგვარ ზიანს მიაყენებს იმ მაღალ პრინციპს, რაც საუფუძვლად უდევს მომქმედი შრომა-გასწორების კოდექსს.

ამ მხრივ როგორია მდგომარეობა სანამდვილეში? როგორც ზევით დავინახეთ ადგილობრივ მეთვალყურე კომისიების უფლებები ძლიერ შეკვეცილია, მეტ შემთხვევებში მის უფლებებს შეადგენს საჭირობოტო და დროულ საკითხების მოსაგვარებლად მხოლოდ შუამდგომლობის აღძვრა ტფილისში და ქუთაისში მომქმედ განმანაწილებელ კომისიების წინაშე.

განმანაწილებელი კომისიების მიერ კი შუამდგომლობაზე პასუხის გაცემა ძალზე გვიანდება. მაგალითისათვის მოვიყვანოთ შემდეგ ფაქტს: 1) 1927 წ. 17 დეკემბერს სენაკის მაზრის საპატიმრო სახლთან არსებულ მეთვალყურე კომისიამ ცენტრალური განმანაწილებელ კომისიის განყოფილების წინაშე ქუთაისში აღძრა შუამდგომლობა პატიმარი ნინუას ვადამდე განთავისუფლების შესახებ და ამაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი მაზრის საპატიმრო სახლის უფროსმა მიიღო მხოლოდ 1928 წ. 10 აპრილს (განმანაწილებელი კომისიის მომართვა № 2276, 1928 წ. 10 აპრილი) ამ რიგად ამ საკითხზე პასუხმა დააგვიანა 3 თვე და 23 დღე. 2) ასეთივე შუამდგომლობა იქნა აღძრული მეთვალყურე კომისიის მიერ განმანაწილებელ კომისიის წინაშე 1927 წ. 6 მარტს პატიმარ უშანგი გვაზავას ვადამდე განთავისუფლების შესახებ. მას დარჩენილი ქონდა მოსახდელი მხოლოდ 23 დღე, მაგრამ პასუხი შუამდგომლობაზე საპატიმრო სახლის უფროსმა მიიღო მხოლოდ ერთი თვე ნახევრის შემდეგ პატიმარი გვაზავა კი ამ დროს იყო განთავისუფლებული უკვე 23 დღით ადრე, ვიდრე პასუხი მოვიდოდა, რადგან დარჩენილი ვადა პატიმრობისა იყო ამოწურული. ასეთი მოქმედება მიუღებლად უნდა ჩაითვალოს მე ამით არ მინდა ვინმეს ბრალი დავსდო, ვინაიდან შესაძლებელია პასუხის დაგვიანება გამოწვეული იყოს ობიექტიური მიზეზებით, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის.

შრომა-გასწორების კოდექსის 30 მუხლის ძალით განმანაწილებელი კომისიის სხდომები თვეში ორჯერ მაინც უნდა ხდებოდეს. იმავე კოდექსის 31 მუხლით კომისიის სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრო ადგილობრივი ხუთი წევრისა, მაგრამ შეიძლება სხდომას ხუთი წევრიც ვერ დაესწროს და ის ვერ შესრულდება, გარდა ამისა

ვინ იცის კიდევ, თუ რა მიზეზი შეუშლის ხელს მომქმედ განმანაწილებელ კომისიებს თავის მუშაობის პროცესში.

ამის შემდეგ საჭიროა დაისვას საკითხი შრომა-გასწორების კოდექსში სათანადო შესწორების შეტანის შესახებ.

იმ დროს, როდესაც გაუქმებულია წინად მომქმედ ოლქის სასამართლოები და პროკურატურა, რომლის დადებითი მხარე დღეს უკვე ყველასათვის ნათელი არის, იმ დროს, როდესაც ხელისუფლების გეზი იქითკენ არის მიმართული, რომ გაამარტივოს ჩვენი აპარატები და ის დაუახლოვდეს ადგილებს, მასას, იმ დროს, როდესაც გამოცხადებულია სასტიკი ბრძოლა ყოველნაირ ბიუროკრატიული და კანცელარიული ვოლოკიტის წინააღმდეგ, რატომ არ შეიძლება დაისვას აგრეთვე საკითხი მასისაგან მოწყვეტილი და სინამდვილეში არა მიზანშეწონილი ტფილისში და ქ. ქუთაისში მომქმედ განმანაწილებელ კომისიების გაუქმების შესახებ.

ყოველივე ამის გამო ჩვენ მიზანშეწონილად და დროულად მიგვაჩნია გაუქმდეს ზემო ხსენებულ განმანაწილებელი კომისიები რესპუბლიკის ორ ცენტრში და ასეთები დაარსდეს მაზრის და ქალაქის ცენტრებში არსებულ საპატიმრო სახლებთან დღეს მომქმედი განმანაწილებელ კომისიის უფლებებით, ვგონებ ამით არაფერი არ დაშავდება. ამ შემთხვევაში პატიმარზე დროზე გავრცელება ის გამასწორებელი ხასიათის ღონისძიებანი და შეღავათები, რომლებიც გათვალისწინებულია არიან მომქმედ შრომა-გასწორების კოდექსში.


ი. გულორდავა.

ვინ უნდა ჩაითვალოს ბინის დამქირავებლად*)

ჩვენს ჟურნალ „საბჭოთა სამართალის“ 15 №-ში: მოთავსებულია წერილი ვ. გაგნიძისა შემდეგი სათაურით: „ვინ უნდა ჩაითვალოს ბინის დამქირავებლად“. ჩვენი აზრით ვ. გაგნიძე სწორად უდგება დასმულ საკითხს. ყველა დამეთანხმება, რომ მშრომელის ბინიდან გამოსახლება საბჭოთა ხელისუფლების დროს სრულიად მიუღებელია და ის საბჭოთა კანონის ძირითადი პრინციპებს არ ეგუება, ჩვენს კანონს აქვს მიზნად ადამიანის გამოსწორება და არა სხვა რამე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ბინის დამქირავებლად ჩაითვლება ყველა ოჯახის წევრები (გარდა სათვალთ მაქცოთ მიკედლებული წევრისა), ვინც კი ფაქტიურად სცხოვრობს ოჯახში ე. ი. ბინაში. სახლის მმართველი, რა თქმა უნდა ოჯახის მეთაურთან სდებს გარიგებას. გარიგების დადების საქმეში ოჯახის ყველა წევრი ვერ ჩაერევა. ანუ. გაგნიძე თავის წერილში მიუთითებს იმაზე, რომ ზოგიერთი ამხანაგები სთვლიან, თუ ოჯახის მეთაურმა საბინაო ხელშეკრულება დაარღვია, იგი გამოსახლებულ უნდა იქნესო და მას ოჯახის დანარჩენი წევრებიც თან უნდა გაეყვოს. ასეთი აზრი მიუღებელია, შეიძლება პატარა მავალითებიც მოვიყვანოთ. ბინა აქვს დაქირავებული ჯერ კიდევ დედაკაცს, რომელსაც ყავს მცირე წლოვანი ობლები. მეთაურად ოჯახში, რა თქმა უნდა, ითვლება ქვრივი.

*) დისკუსიის წესით.



გარიგებაც მის სახელზეა დადებული. ქვრივი სიღარიბის გამო ვერ იხდის ბინის ქირას, მასთან მეზობლებთან მას ისეთი დამოკიდებულება აქვს, რომ მასთან უკანასკნელები ერთ სახლში ყოფნა შეუძლებელი ხდება. ქვრივი გამოსახლებულ იქნა, მაგრამ ისმება საკითხი, რათ უნდა იქნენ გამოსახლებულნი დედასთან ერთად მისი მცირე წლოვანი ობლები. მეორე მაგალითი. მშრომელს—ბინის დამქირავებელს ყავს სარჩენი 10 სული. ეს მშრომელი არღვევს საბინაო კანონებს და ამით დაიმსახურა ბინიდან გამოსახლება. ამ შემთხვევაში, რა უფაშია ასეთი მშრომელის ცოლშვილი, რათ უნდა იყვნენ ისინი გამოსახლებულნი? უნდა ვაღიაროთ, რომ არ შეესაბამება სამართლიანობას ის, რომ ბინის დამქირავებლის გამოსახლებას თან სდევ. დეს მის ოჯახის წევრების გამოსახლება. მხოლოდ იმას, ვინც კანონი დარღვია, უნდა მოეთხოვოს პასუხი. ჩვენის აზრით სამ. სამ. კოდ. 171 მუხლის, გ, ე, და თ“ პუქნ. უნდა იქნენ ამოშლილი იმ მოსაზრებით, რომ ბინიდან გამოსახლება არაა სამოქალაქო საქმე; ეს არის წმინდა სისხლის სამართლის საქმე.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენი კანონი მიზნით ისახავს მოქალაქეების გასწორებას და ამცდარი გზიდან სწორ გზაზე მათ დაყენებას. აი აქ უნდა იქნეს, რომ ბინიდან გამოსახლება სამოქალაქო კოდექსს უნდა ჩამოსცილდეს (გარდა საგანგებო შემთხვევისა). საბინაო კანონების დამრღვევნი უნდა იქნენ მიცემულნი პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით თანახმად სისხ. სამ კოდ. 61, 78; 75 და 194 მუხლებისა. აქაც საჭიროა კლასიური მიდგომა, რომ ბოროტი მობინადრე გავასწოროთ ჯარიმის დადებით, იძულებითი მუშაობით, გამსახლში მოთავსებით, პირობითი სასჯელით და სხვა. ეს უფრო მიზანშეწონილი იქნება, ვიდრე ასეთი პირის უბრუნო დატოვება და მასთან მისი იჯახის აწიოკება იმედი გვაქვს, ამხანაგები დაუკვირდებიან ამ საკითხს და მასზე გაეცემენ ისეთ პასუხს, რაც შეეფერება მშრომელთა ინტერესებს.

ი. კაციტაძე.

იუსტსახკომის სხოვრევიდან.

„იუსტგამის“ მუშაობა და მისი პერსპექტივები

ფრიად დიდ და მნიშვნელოვან საქმეს აწარმოებს იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამომცემლობა და ჩვენი ჟურნალის მკითხველები კი ჯეროვანად არ არიან გაცნობილნი და გარკვეულნი მის მუშაობაში. ამ პატარა მიმოხილვის მიზანია გავაცნოთ ჩვენ ჟურნალის მკითხველებს გამომცემლობის გასულ საბიუჯეტო წლის მუშაობა და მომავალი გეგმა, რაც, ჩვენი აზრით, ინტერესს მოკლებული არ იქნება.

„იუსტგამი“ ბეჭდავს, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ გარდა, მთელ რიგ გამოცემებს, რომელნიც შეიძლება კლასიფიკაცია ქმნილ იქნენ შემდეგნაირად:

1. რესპუბლიკანური მნიშვნელობის ოფიციალური გამოცემანი: ა) „საქართველოს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული“—2 ნა-

წილად; ბირველ ნაწილში იბეჭდება ცაკი-სა და სახკომი საბჭოს ყველა დეკრეტი და დადგენილება, ხოლო მეორე ნაწილში ყველა უწყებათა ნორმატიული ხასიათის განკარგულებანი (გასულ წელს დაიბეჭდა 19 ნომერი 1-ლ ნაწილისა და 4 ნომერი მეორე ნაწილის—17.500 ცალად); ბ) კოდექსები (სამოქალაქო, სისხლის სამართლის, შრომის-გასწორების და სხვ. კოდექსები 16.000 ცალად); გ) მსჯავრდადებულთა ცნობარი, ე. ი. სრული სია იმ პირთა, რომელთაც მსჯავრბ დაედოთ რესპუბლიკის ყველა საფეხურის სასამართლოების მიერ.

2. საუწყებო გამოცემანი: პერიოდული—ორკვირეული ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ და ებიზოდიური ხასიათისა— „იუსტსახკომის მოქმედ ინსტრუქციებისა და ცირკულარების კრებულები“.

3. „იურიდიული ბიბლიოთეკი“-ს გამოცემანი, რომლის მიზანია მეცნიერულ კომენტარით ან ფართო მასისათვის გასაგებ ენით საბჭოთა სამართლის პოპულარიზაცია და ახსნა-განმარტება.

ამ ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო დარგში „იუსტგამს“ გასულ საოპერაციო წელში აქვს მნიშვნელოვანი მიღწევანი. არ დარჩენილა არც ერთი საკითხი მიწის სამართლისა, რომელიც ასე მწვავედ აინტერესებს ჩვენს გლეხკაცობას, რომ „იურიდიულ ბიბლიოთეკი“-ს. ბროშურაში არ აღბეჭდილიყო და მიყრუებულ თემებსაც არ მიწვდომოდა. ეს არის „იუსტგამის“ გამარჯვება. მართლაც, იუსტსახკომის ბროშურებმა გზა ისე მტკიცედ გაიკაფეს, რომ, რაჭის, სვანეთის და ღუშეთის თემალმასკომებიდან მიღებულ ცნობით, გლეხკაცობა ხსენებულ ბროშურებს სასამართლოს „დამამტკიცებელ საბუთად“ უდგენენ (ბროშურები „კომლის გაყრა“, მიწის შრომითი „იჯარა“ და სხვ. დღემდის 11.000 ცალამდე გაიყიდა).


ცნობილია, რომ საკანონმდებლო აქტების კრებულები, საერთოდ, და იურიდიული ლიტერატურა, კერძოდ, ძნელად ვრცელდება და მას განსაზღვრული რაოდენობა მკითხველებისა ჰყავს.

უნდა კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ საბჭოთა სინამდვილემ გამონახა კანონის ისეთ ფორმაში ფართო მასისათვის მიწოდება, რომ მას იგი აინტერესებს და „დამამტკიცებელ საბუთათაც“ იყენებს.

ჩვენ შეეჩერდით „იურიდიული ბიბლიოთეკი“-ს გამოცემებზე იმიტომ, რომ მომავალ საოპერაციო წელს „იუსტგამს“ განზრახული აქვს ეს განყოფილება გაათართოვოს და არა მარტო მიწის საკითხების გაშუქება, არამედ შრომის, ოჯახის, ქორწინების, სამეურვეო და სხვა სამართლის დარგების ახსნა-განმარტება პოპულარულ ენით ფართო მუშათა და გლეხთა მასას მიაწოდოს, რომელიც ამ ცხოველ ნაკადს, წარსული წელი თავდებია, სიამოვნებით დაეწაფება.

გასულ წელს „იუსტგამმა“ გამოსცა ბირველად ქართულ ენაზე სამოქალაქო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების კომენტარი, რაც ბირველ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ გავაცნოთ ჩვენი მკითხველი „იუსტგამი“-ს წარსულ საბიუჯეტო წლის სავაჭრო ოპერაციის



მიუხედავად იმისა, რომ „ბროშიურების“ საფასური 15 და 25 კაპ. არ აღემატება გასულ წელში გაიყიდა 6.980 მან. ლიტერატურა და ეს იმ არახელსაყრელ პირობებში, როდესაც ყველა ის, ვინც ამ საქმისათვის პასუხისმგებელია, ჯეროვანად არ ასრულებს თავის მოვალეობას. უნდა აღინიშნოს, რომ „იუსტგამი“-ს გამოცემანი გარდა „სახელგამი“-ს, „შრომა“-ს და „ზაკნიგა“-ს მალაზიებისა იყიდება აგრეთვე ყველა სამაზრო ცენტრში, სახალხო სასამართლოში, სადაც მოსამართლე „იუსტგამის“ რწმუნებულად ირიცხება.

აი სწორედ ეს პუნქტი ჩვენი მუშაობისა მოიკოჭლებს.

რათ უნდა დასჭირდეს ჩხოროწყუს ან გომის თემ-აღმასკომს ზედმეტი ფოსტის ხარჯი და მიმართვა ტფილისისათვის, როდესაც მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ზუგდიდის და გორის მოსამართლე მათთვის უფრო ახლოა და დროზედ მიაწვდის საჭირო ლიტერატურას. ვისი ბრალია? ნათელია, რომ, მიუხედავად სახკომის ცირკულარებისა, მოსამართლე გულგრილად ეკიდება ამ ფრიად საპასუხისმგებლო დავალებას და სასამართლოში მისულ გასასყიდათ ლიტერატურა შკაფებში იმარხება.

ამას უნდა ბოლო მოეღოს და ყველამ უნდა შეუწყუთ ხელი საბჭოთა სამართლის პოპულარიზაციას.

იუსტსახკომს განზრახული აქვს გარდა „კანონთა კრებულის“ მორიგ ნომრებისა ა.წ. ოქტომბერ-დეკემბრის განმავლობაში გამოსცეს ორი ბროშურა—ერთი—შრომისა და მეორე—საოჯახო სამართლის დარგიდან, „წითელ არმიელთა და მათი ოჯახების წევრთა შეღავათების კანონთა კოდექსი“ და აგრეთვე, მკითხველისათვის ახალი

იქნება, „კოდექსების გაგრძელებანი“ ცალკე გამოცემებით, რათა არ ხდებოდეს კოდექსების ყოველწლიურ ახალი გამოცემა და შემცირდეს ამასთან დაკავშირებული საგრძნობი ხარჯი.

გ. ერისთავი.

ტარკინოლოგიის განსაზღვრების

0.

- Обанкротиться—გაკოტრება
- Обвинение—ბრალდება
- Обвинитель—ბრალმდებელი
- Обвинительная речь—საბრალმდებლო სიტყვა
- Обвинительное заключение—საბრალმდებლო დანასკვი
- Обвиняемый—ბრალდებული
- Обвинять—ბრალის დადება, დაბრალება
- Обдуманное намерение—მოფიქრებული განზრახულობა
- Обдуманность—მოფიქრებულობა
- Обдуманный—მოფიქრებული
- Обдумать—მოფიქრება
- Обеспечение, обеспечить—უზრუნველყოფა
- Обеспечение взыскания—გადახდევინების უზრუნველყოფა
- Обеспечение иска—სარჩელის უზრუნველყოფა
- Обещать, обещание—დაპირება, შეპირება
- Обещанный—დაპირებული, შეპირებული, დანაპირი, შენაპირი
- Обезображение, обезобразить—დასახიჩრება, გაუსახურება

სასამართლო და სხოვრება.

სასამართლო და სოფელი.

I

ჩვენს საბჭოთა სისტემაში სახალხო სასამართლო არის მეტად მნიშვნელოვანი ორგანო, რომელიც თავის კონსტრუქციით, მუშაობის შინაარსით და ხასიათით არის განსაკუთრებით მასიური ორგანო.

ყველასათვის ცხადია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სასამართლოს მუშაობას სოფლად, სასამართლოს მუშაობა მარტო იმით კი არ დაფასდება, თუ რამდენი საქმე გააჩნია ამა და ამ დროში, რამდენათ ბრწყინვალე არის მისი ანგარიში, სადაც ნაჩვენები არის ციფრები საქმეების მოძრაობის შესახებ.

სასამართლოს მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის არის მძლავრი ფაქტორი რევოლიუციურ კანონიერების განმტკიცებისა და რევოლიუციური კანონიერება კი უსულო ციფრებით არ განისაზღვრება.

სასამართლოს როლი და მნიშვნელობა მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ იგი თავის მუშაობის სიღრმით სწვდება ცხოვრების ყველა დარგს და ყველა კუნჭულს, მის სიტყვას აქვს მძლავრი გამოძახილი მასაში და სამაგიეროთ მასის ყოფა-ცხოვრება მასის პირ-ვარამი, მისწრიფებანი და ამოცანები წარმოადგენს სასამართლოსათვის ცხოვ-

რების სკოლას, საიდანაც იგი იძენს ცოდნას იმაზე, თუ რა ეკონომიურ და კულტურულ პირობებს განიცდის მასა განსაზღვრულ პერიოდში.

დღევანდელ დღეს, როგორც ვიცით, პარტიის მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მასიურ მუშაობას სოფლად, სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას და მის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებულია მუშაობის გაძლიერება კულტურულ რევოლიუციის ფრონტზე, ვინაიდან სოციალისტურ აღმშენებლობის წარმატება ვერ იწარმოებს ჩქარი ტემპით, თუ მას თან არ სდევს მოსახლეობის კულტურულ დონის აწევა, მასის ჩამორჩენილ ნაწილში წერაკითხვის და სწავლა განათლების გავრცელება, ძველ ზნეჩვეულებების და ყოფა-ცხოვრების გარდაქმნა ახალ სოციალისტურ კულტურის საფუძველზე.

მე-XV პარტყრილობამ კულტურულ მუშაობის საკითხებს სოფლად დიდი მნიშვნელობა მიაკუთვნა და თემცა კულტურულ რევოლიუციის შესახებ სპეციალური მოხსენება არ ყოფილა, მაგრამ თითქმის ყველა ორატორი თავის გამოსვლაში ეხებოდა ამ საკითხებს.

ამხ. მოლოტოვმა, თავის მოხსენებაში პარტიის მუშაობის შესახებ სოფლად, სხვათა შორის სთქვა: რა გვაკლია ჩვენ დღევანდელ დღეს სოფლად ახალ ამოცანებთან დაკავშირებით?—კულტურა და კიდევ კულტურა. თითქმის ყველაფერი სოფლად ამ ქამად ხასიათდება კულტურის

Обжалование, обжаловать—განჩივრება, განსაჩივრება
 Обзор, обозрение, обозреть—მიმოხილვა, მიმოხედვა
 Обида, обидеть—წყენა, წყინება
 Обидный—საწყინი, საწყინარი, საწყინელი
 Обидчик—მაწყინებელი, მაწყინარი
 Обиженный—წყენებული, ნაწყენი
 Обитаемый—მკვიდროვანი
 Обитание, обитать—მკვიდრობა
 Обладание, обладать—პრობა, ფლობა, პრობელობა, ფლობელობა
 Область—ოლქი
 Областной—საოლქო
 Облегчать, облегчение—გაადვილება, შემსუბუქება
 Облекать, облечь, облечение—შემოსვა, აღჭურვა
 Облеченный—შემოსილი, მოსილი, აღჭურვილი
 Облеченный властью—ხელისუფლებით აღჭურვილი
 Облеченный правами—უფლება—მოსილი
 Облигация—ობლიგაცია
 Облигационер—ობლიგაციონერი
 Облигационный—საობლიგაციო
 Обличать, обличить, обличение—მხილება
 Обличенный—მხილებული
 Обличитель—მამხილებელი
 Обличительный—სამხილავი, სამხილებელი
 Обложение, обложить—გარემოცვა, გარემორტყმა, შემოფენა, შეწერა
 Обложенный—გარემოცული, გარემორტყმული, შემოფენილი, შეწერილი
 Обложка—კანი, გარეკანი

Обман—მოტყუება
 Обманный—სატყუარი, სატყუებელი
 Обмануемый—მოტყუებული
 Обманщик—მატყუარა
 Обмен—გაცვლა, შეცვლა
 Обморок—გულისყრა, გულისწუბილი
 Обмундирование, обмундировать—შემოსილობა, შემოსვა
 Обмотки—ტოლალი, გრაგნილი
 Обнародование, обнародовать—გამოქვეყნება
 Обнародованный—გამოქვეყნებული
 Обнаружение, обнаружить—გა [ალ] მოჩენა, გამომჟღავნება, გამოაშკარავება
 Обнаруженный—გა [ალ] მოჩენილი, გამომჟღავნებული, გამოაშკარავებული
 Обобщать, обобщение—განზოგადება
 Обобщенный—განზოგადებული
 Обновление, обновлять, обновить—განახლება, შეახლება
 Обогащение, обогащать—გამდიდრება
 Обогащение на чужой счет—სხვისი ხარჯით გამდიდრება
 Обозначать, обозначение—აღნიშვნა
 Обозрение, обозреть—მიმოხილვა
 Обойма—შვიდე
 Оболочка—გარსი
 Обольщение, обольщать, обольстить—შეცდენა
 Обольститель—შემცდენი
 Оборона—დაცვა, გერება
 Оборона необходимая—გარდუვალი, დაცვა, გერება
 Оборот—ნაბრუნე, ბრუნე
 Обратный—საბრუნავი

სიმცირით. რა დარგსაც არ უნდა მიაღვეთ—ჩვენი უკულტურობა, ჩამორჩენილობა და ხანდისხან ველურობა არ გვაძლევენ შესაძლებლობას გავაფაროვოთ ის ახალი, რაც არის სოფლათ... „ჩქარი ნაბიჯით წინსვლას ვერ შევძლებთ, თუ სინამდვილეში არ ავწიეთ კულტურა“.

ექვს გარეშეა, რომ ამ ამოცანების განხორციელების დროს სასამართლოს მუშაობას სოფლად დიდი მნიშვნელობა აქვს და განსაკუთრებით კულტურულ ფრონტზე. სამწუხაროდ სასამართლოს მუშაობა ამ დარგში ნაკლებად არის შესწავლილი და სასამართლოს მუშაკებს ნაკლებათ ჰქონდათ შეფასებული სასამართლოს კულტურული როლი.

ამხ. კალინინი—საბჭოების მე-3 სრულიად საკავშირო ყრილობაზე შეეხო რა სასამართლოს როლს რევოლუციური კანონიერების განმტკიცების საქმეში სხვათა შორის სთქვა შემდეგი: „სასამართლო არის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორთაგანი კულტურული და პოლიტიკური აღზრდისა, სასამართლოს პოლიტიკა-საბჭოთა მოქალაქეთა შორის კულტურის, კანონიერების და მოქალაქეობრივი შეგნების მძლავრი განმავითარებელი ფაქტორი არის, იგი არის მნიშვნელოვანი ქვა-კუთხედა საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობისა“.

სახალხო სასამართლოების საქმეების შესწავლა გვაძლევს ჩვენ სოფლის მოსახლეობის კულტურულ მდგომარეობის დამახასიათებელ მაგალითებს. სასამართლოებში

მრავლად მოიპოვება საქმეები, რომელნიც გვაჩვენებენ, რომ ამხ. მოლოტოვის მიერ მე-XV პარტყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა ჩვენ უკულტურობის და ველურობაზე არავითარ გადაჭარბებას არ შეიცავს, რომ კულტურულ ფრონტზე მართლაც ცოტა რამ არის გაკეთებული და ძალიან ბევრი არის გასაკეთებელი.

ამის დასამტკიცებლად მე აქ მინდა მოვიყვანო ცოცხალი მაგალითები ამოღებული რაჭა-ლეჩხუმის მაზრის სასამართლოების გამოკვლევიდან, რომელიც ჩატარებული იყო 1928 წ. სექტემბერში.

1. ლეჩხუმის მაზრის სოფ. მახაშის მცხოვრებ, იასონ სიმონის ძე გოლეჯიანს გაუხდა ავით ვაჟი-შვილი შარდუნი, 24 წლისა, მისი ავადმყოფობა მათი სიტყვით გამოინატებოდა მასში, რომ „ლამ-ლამეობით რაღაც ეცემა და ფხაჭნის, უკავებს მთელ სხეულს, სულს უხუთავს და დაყვირების ან გამოხედვის საშვალებას არ აძლევს“. მიმართავდენ სხვა და სხვა ექიმბაშებს და ბოლოს ერთმა „გამოჩენილმა“ ექიმბაშმა მცხოვრებ სოფ. ჩხართაში მართა ძნელადისამ მისცა ბოთლით რაღაცა წამალი და უთხრა „დაალევიანე ეს შენ შვილს და ის იტყვის თუ ვინ არის მიზეზი მისი დაავადებისა, ვინ სტანჯავს და აწვალებს მის შვილს“. ამ წამლის მიღების შემდეგ ავადმყოფმა ერთ ღამეს განუცხადა თავის მამას: „კატებივით გამომეცხადენ ელისო სილაკაძე, ელისო ჩაკვეტაძე და ღეფენა კენჭაძე, რომელთაც ეჭირათ ხელში შავი სუფრა და მომესიენო“.

Оборудование— მომართულობა, მოწყობილობა
 Оборудовать— მომართვა, მოწყობა
 Обоснование, обосновать— დასაბუთება
 Обособленность, обособлять— განკერძოება
 Обособленный— განკერძოებული
 Обособность— საორკერძო
 Обособный— საორკერძო
 Обособленный— ორლესული, ორმახვილი
 Обработка— დამუშავება
 Обработанный— დამუშავებული
 Образец, образчик— ნიმუში
 Образцовый— სანიმუშო
 Образ действия— მოქმედების წესი
 Обратно— შექცეულად, შებრუნებულად, უკუღმა
 Обратный— შექცეული, შებრუნებული, უკუღმი
 Обратная сила закона— კანონის უკუშექცევი ანუ შექცეული ძალა
 Обратное требование— შებრუნებული მოთხოვნილება
 Обращение, обращать, обращаться— მიმართვა, მიქცევა, მიმოქცევა, მიმოქცევა, უკუშექცევა
 Обращение взыскания на что-либо— გადახდევინების მიქცევა რაზედმე
 Обращение приговора в исполнение— განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა
 Обрезание— წინა დაცვეთა
 Обременение, обременять— დატვირთვით
 Обременение долгами— ვალებით დატვირთვით, ვალდატვირთვა

Обремененный долгами— ვალებით დატვირთვით, ვალდატვირთვილი
 Обремененный— დატვირთვით
 Оброк— ბეგარა
 Оброчный— საბეგრო
 Обряд— წესი
 Обрядовый— საწესო
 Обстоятельство— ვითარება, გარემოება
 Обсуждать, обсуждение— განსჯა
 Обусловить, обусловливать— შეპირობება
 Обусловленный— შეპირობებული
 Обход, обходить— შემოვლა
 Обход закона— კანონის შემოვლა
 Общая исковая давность— ზოგადი სასარჩლო ხანდაზმულობა
 Общая собственность— საერთო საკუთრება
 Общий— საერთო, ზოგადი, საყოველთაო, საყოველთაო
 Общественный— საზოგადოებური, საზოგადოებრივი
 Общественность— საზოგადოებურობა, საზოგადოებრივობა
 Общественно-опасное действие— საზოგადოებრივ-საშიშარი მოქმედება
 Общественное порицание— საზოგადოებრივი ვაკიცხვა
 Общество— საზოგადოება
 Общность— საზიარობა
 Обыватель— მსახლობი
 Обывательский— მსახლობური
 Обыкновение— წესობა
 Обыкновенно— ჩვეულებრივ
 Обыкновенный— ჩვეულებრივი

ამის შემდეგ ავადმყოფის მამა დარწმუნდა, რომ აღნიშნული პარები (მისი მეზობლები), არიან „კუდიანები“ და მათი კუდიანობის მეოხებით არის დაავადებული მისი შვილი. მან გადასწყვიტა „კუდიანების“ დაღდავა. ერთ დღეს მოიხმო თავისთან აღნიშნული პირები, გაახურა ცეცხლზე რკინა და გამოუცხადა რა, რომ უნდა დადალოს იგინი როგორც კუდიანები, აიძულა ერთი მათგანი, ელისო ჩაკვიტაძისა, თავის ხელით დაედალა თავისი მარცხენა ხელი, რაც მან შეასრულა; მხოლოდ მეორეს ელისო სილაკაძეს 70 წლის მოხუცს, თვითონ გოლეითანმა დაუდალა მარცხენა ხელი. როდესაც ჯერო მიღვა ფეფენა კენჭაძეზე, უკანასკნელი გამოუსხლტა ხელიდან გოლეითანს, გაიქცა თემალმასკომში, სადაც განაცხადა ამ ამბავის შესახებ. ყველა ეს დადასტურებული არის მოკლევით და გამოძიებით, მოწმეების ბრალდებულის და დაზარალებულთა ჩვენებით, და უკანასკნელთა შემოწმებით ექიმის საშუალებით.

საინტერესოა სხვათა შორის, რომ როდესაც ეს ამბავი გამოქვეყნდა და სწარმოებდა მოკლევით, დაკითხულ იქნა მოწმეთ ალექსანდრე მაქსიმეს ძე სილაკაძე 40 წ. წერაკითხვის მკოდნე, კომპარტიის წევრი 1921 წლიდან, რომელმაც განაცხადა, რომ, როდესაც გაიგო მისი მოყვარე გოლეითანის შვილის დაავადება კუდიანებისაგან, იგი დაინტერესდა „თუ მართლა კუდიანები დაიარებიან მათთან“ და ავადმყოფობის მიზეზი არიან ისინი. ამ მზ-

ნით იგი წავიდა გოლეითანთან და დარჩა მათთან ღამე. ავადმყოფი და მისი ოჯახი იწვნენ ერთ ოთახში, იგი კი დაწვა მეორე ოთახში, მხოლოდ არ დაუძინია და რევოლვერით ხელში უდარაჯებდა კუდიანებს. ოთახში ენთო ღამფა და ოთახის კარი იყო დაკეტილი მჭიდროდ. ღამე მოწმეს მოესმა ხმაურობა მაღლა ჭერიდან, კატის კნავილის ხმა საეით, შემდეგ ეს ხმაურობა ჩამოვიდა ძირს და კარებმა დაიწყო ჭრიჭინი. რამოდენიმე ხნის შემდეგ კნავილი შესწყდა. „მე გამოვედი გარედ, ამბობს მოწმე, მაგრამ ვერაფერი ვერ დავინახეო. შემდეგ მე შევბრუნდი და წამოვწყე. ასეთი ხმაურობა განმეორდა კიდევ ორჯერ, გათენების ხანას ავადმყოფმა დაიყვრა. მე იმ დაყვირებაზე შევეკითხე მიზეზი და მან მიპასუხა: „ეხლა გადახტა, წავიდა მარჯვენა ძუძუს თავზე მაწვავო“. ადგა და მაჩვენა, მართლა მარჯვენა ძუძუ შედარებით მარცხენასთან გაწითლებული ჰქონდა. ცოტა ხნის შემდეგ მან ისევ მიიძინა და მეც წამოვწყე; ხელში მეჭირა რევოლვერი. ამ დროს პირქვე წამოწოლილს რაღაცა მამაჯდა ზურგზედ და დამიკავა სხეული, ორთავე მკლავები და უკანდან კისერში წამიჭირა ხელით. მე მიწოდდა გადაბრუნება, აგრეთვე თვალის გამოხილვა, მაგრამ ასეთის საშუალება არ მომცა. როდესაც ამ მდგომარეობაში ვიყავი, მე შემომესმა პირდაპირ ყურში შემდეგი სიტყვები: „შენ მეჩემებოდი სიკვდილს და დაჭერასო“. ეს სიტყვები შემომესმა ორჯერ, ამის შემდეგ სული შემეხუთა, ცოტა ხნის შემდეგ ამიშვა.

Обыск—ჩხრეკა
 Обычай—ჩვეულება
 Обычное право—საადათო სამართალი
 Об'единение—განერთი
 Об'единенный—გაერთიანებული
 Об'единять—გაერთიანება
 Об'ем—მოცულობა, სიტყვე
 Об'ект—ობიექტი
 Об'ективный—ობიექტური
 Об'явление, об'являть—გამოცხადება
 Связанность—მოვალეობა
 Обязанный—მოვალე, ვალდებული
 Обязательный—სავალდებულო
 Обязательственное право—სავალდებულო სამართალი
 Обязательство—ვალდებულება
 Обязывать, обязываться—დავალება, დავალდებულება, ვალდებულებადება, ვალდებულქმნა
 Об'яснение, об'яснять—ახსნა-განმარტება
 Об'яснительный—განმარტებითი, საგანმარტო
 Оглашение, оглашать—გათქმა, განხიანება
 Огнестрельный—ცეცხლმსროლი, სასროლი
 Оговор, оговорить—შეწამება, დაწამება
 Ограбление—გაძარცვა
 Ограждение, ограждать—დაცვა
 Ограничение, ограничить—შემოსაზღვრა, მოსაზღვრა, განსაზღვრა, შეზღუდვა, შემოზღუდვა
 Ограниченный—შემოსაზღვრული, განსაზღვრული, შეზღუდული
 Ограничительный—შემზღუდველი, შემოსაზღვრელი

Одаренный—ნიჭებული, დასაჩუქრებული
 Одаривать, одарить—ნიჭება, დასაჩუქრება
 Одинаково—ერთნაირად
 Одинаковость—ერთნაირობა
 Одинаковый—ერთნაირი
 Одиночный—მარტოული, ცალეული
 Однако—მაგრამ, გარნა
 Одновременно—ერთდროულად, ერთჯამიერად
 Одновременность—ერთდროულობა, ერთჯამიერობა
 Однообразный—ერთსახოვანი, ერთფეროვანი
 Однородность—ერთგვარობა, ერთგვაროვნობა
 Однородный—ერთგვარი, ერთგვაროვანი
 Односторонний—ცალმხრივი, ცალკერძი, ცალპირი, ერთპირი
 Односторонность—ცალმხრივობა, ცალკერძობა, ცალპირობა
 Одолжать, одолжаться, должение—სესხება, ვალება, თხოვება
 Одурманывающие вещества—გამაბრუებელი ნივთიერებანი
 Одушевленность—სულიერობა
 Одушевленный—სულიერი
 Одушевлять, одушевить—მოსულიერება
 Оживление, оживлять, оживить—გამოცოცხლება, მოცოცხლება
 Ожидание, ожидать—მოლოდინი, ლოდინი, ლოდნა, ცდა, ლოდება
 Означение, означать—აღნიშვნა
 Озорные действия—თავბედური მოქმედება
 Озорство—თავბედობა
 Оказать, оказание—აღმოჩენა, გაწევა

მე რომ სხეული დაკავებული მქონდა ძალიან ყეფაც მესმოდა“.

2. 1928 წ. ზემოთ აღნიშნული მკითხავი და ექიმბაში მართა ძნელადისა, რომელმაც მისცა წამალი გოლე-თიანს მისი შვილის საექიმოთ-მიციემულ იქნა პასუხისგებაში. იგი სცხოვრობს სოფ. ჩხართაში, მახლობელ და შორეულ სოფლებში ცნობილია როგორც „გამოჩენილი“ ექიმბაში, რომელთანაც დაიარება დიდძალი გლეხობა. სხვათა შორის იგი მკურნალობს ჭკუიდან შეშლილებსაც, აძლევს გლეხებს მის მიერ დამზადებულ წამლებს და არჩენს ლოცვითაც, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით: „ერუსალიმიდან მოვალ, ვიტყუდი აღსარებასა, ეშმაკო ჩამომეთხოვე არა ვარ შენსა ნებასა“...


დაკითხულმა ამ საქმეზე სოფ. დღნორისის გლეხმა ანდრია სულაძემ განაცხადა, რომ იგი დიდიხანი იყო ავად კუდიანებისაგან, ბევრი წამლები იხმარა, მაგრამ არ მოუხდა, შემდეგ მიმართა მართა ძნელადეს, რომლის წამალიც მას მოუხდა, რაშიაც მისცა **სუთმეტი ბათმანი სიმინდი**.

თვით ბრალდებული დარწმუნებული არის, რომ მისი წამლები და ლოცვა უხდება ყველას. მისი სიტყვით მან მოარჩინა მუხჯი, ცაგერში მცხოვრები სანდრო ლეთოდინის შვილი, რომელზედაც ისე იმოქმედა მისმა ლოცვამ, რომ ლაპარაკი დაიწყო. ამ „ფაქტს“ ადასტურებს სასამართლოს წინაშე თვით ლეთოდინი—ავადყოფის მამა.

ეს საქმე საჩვენებელ პროცესის სახით გაიჩა ა.წ. 1 ავგისტოს სოფ. ლაილასში (ლეჩხუმის მაზრა). პროცესზე დაკითხული გლეხები დიდის ქებით იხსენიებდნენ ექიმბაშს და ამტკიცებდნენ ვითომც მისი ლოცვა და მკურნალობა მათ უხდებოდათ. სხვათა შორის საქმის გარჩევის დროს გამოიჩინა, რომ ბრალდებულთან მისულან სამკითხავოდ სოფ. ცაგერას, ალპანის თემის მცხოვრებნი კომპარტიის წევრები სერგო ხეცტორიანი, ერმალო კიკოლაი-შვილი და ერმალო ლომთაძე.

3. 1928 წ. იანვარში რაჭის მაზრის სოფ. გორის-უბნის ექიმბაშს ივანე დვალს, რომელსაც დიდი „პრაქტიკა“ ჰქონდა, და რომელიც არჩენდა სხვათაშორის ნერვიულ და სულით ავადმყოფებსაც, მიმართა სამკურნალო სოფ. ლაღიში მცხ. მიშა ალბორაშვილმა, რომელიც ავადმყოფი ყოფილა ნერვიულ სისტემის აშლილობით; ალბორაშვილი არის სოფლის მოჯამაგირე, კომკავშირის წევრი, 18 წლ.. ექიმბაშმა მისცა მას გულზე ჩამოსაკიდებლად ტყავში გახვეული ლოცვანი, რომელშიაც გამოართვა „პაციენტს“ ორი მანეთი და დაარწმუნა, რომ ეს ლოცვანი აუცილებლად მოარჩენდა მას. ალბორაშვილმა ჩაპოიკიდა გულზე ეს ლოცვანი და რამოდენიმე ხანი ატარა და ვინაიდან „არ მოუხდა“ განუცხადა ამის შესახებ თემადმასკომს.

ეს საქმეები და მთელი რიგი სხვა საქმეებისა, რომელიც აღმოჩნდნენ რაჭა-ლეჩხუმის მაზრის სახალხო სა-



Оклад—განაკვეთი, შენაწერი
 Окладный—საგანაკვეთო, შეწერილი
 Околодок—უბანი
 Окольный—გარემოუბნელი
 Окончательный—საბოლოო
 Оконченный—დაბოლოებული, დამთავრებული, დასრულებული
 Окончить—დაბოლოება, დამთავრება, დასრულება
 Окрестность—არემარე, მიდამო
 Округ—ოლქი
 Окружный—საოლქო
 Олицетворение, олицетворять—გაპიროვნება, განსახიერება
 Опасность—ხიფათი, საშიშროება
 Опасный—სახიფათო, საშიშო, საშიშარი
 Опекa—მეურვეობა
 Опекаемый—ურვებული
 Опекун—მეურვე
 Опекунский—სამეურვეო
 Опечатание, опечатать—დაბეჭვდა
 Описание, описать—აღწერა, აღწერა
 Опись—აღწერილობა, ნუსხა, სია, ანაწერი
 Опознание, опознать—შეცნობა, ხელისდადება
 Ополчение—ლაშქრობა; ლაშქარი
 Оправдание, оправдать—გამართლება
 Оправдательный—გასამართლებელი, სამართლებული
 Определение (судебное)—განწესებულება
 Определение (на службу)—სამსახურში განწესება
 Определение (цепы)—ფასის გარდაკვეთა

Определение (меры соцзащиты)—სოცდაცვის ღონისძიების განსაზღვრა
 Определение личности—პიროვნების გამორკვევა
 Определение (вообще)—განსაზღვრა, განმარტება
 Определенный—განსაზღვრული, განზღვარული
 Определить—განსაზღვრა, განზღვარვა
 Провергать, опровержение—გაცულება
 Опрое, опросить—მიმოკითხვა
 Опротестованный—გაპროტესტებული
 Опротестовать—გაპროტესტება
 Оптовый—საბითუმო
 Оптовик—მებითუმე
 Оптом—ბითუმად
 Опубликование, опубликовать—გამოქვეყნება
 Опустошение, опустошить—აოხრება
 Опыт—საცადისი
 Опытность—გამოცდილება
 Опытный—გამოცდილი
 Оп'янение—სიმთვრალე, მთვრალობა
 Оп'янеть—დათრობა
 Орган—ორგანო
 Организация—ორგანიზაცია
 Организовать—ორგანიზება
 Организованный—ორგანიზებული
 Органический—ორგანული
 Ордер—ორდერი
 Ордерный—საორდერი
 Орудие—იარაღი
 Оружие—იარაღი

სამართლოებში ნათლად ახსიათებენ გლეხობის ყოფაცხოვრების და კულტურულ ღონის ჩამორჩენილობას.

სოფლად ჯერ კიდევ მრავლათ მოიპოვებიან სხვადასხვა ჯურის ექიმბაშები, მკითხავები და მატყუარა პირები, რომელნიც სხვადასხვა ხრიკებით და თინბაზობით ატყუებენ და ტყავს აძრობენ გლეხებს.

სხვათა შორის აქ უნდა აღვნიშნო, რომ ეს მოვლენა (ექიმბაშობა) სრულიად არ არის შესწავლილი არც სასამართლო და არც მედიცინის მუშაკთა მიერ: ვინ არიან ექიმბაშები, როგორი ვაგლენა აქვთ გლეხობაზე, რა ავადმყოფობას და რა საშუალებით „მკურნალობენ“, რა მეთოდით შეიძლება ამ მოვლენასთან ბრძოლა და სხვა.

აღნიშნულ ხასიათის საქმეების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ თითქმის ყველა სოფლებში არიან მკითხავე და ექიმბაშები, რომელნიც აშკარად ეწვევიან ამ ხელობას.

საინტერესოა ის გარემოება, რომ მათ შორის არიან „სპეციალისტებიც“: არიან ექიმბაშები, რომელნიც ამხადებენ მხოლოდ „საბავშვო წამალს“, შემდეგ არიან „ტყლიპის“ (მალარიის) მკურნალები, კრილობების და ძვლების, სულით ავადმყოფობის (რასაც „არჩენენ“ როგორც წამლით, ისე ლოცვით), თვალის ავადმყოფობის სპეციალისტები და სხვა.

როგორც ეტყობა ბრძოლა ამ მოვლენასთან სწარმოებს მეტად, სუსტად, როგორც სასამართლოს რეპრესიის, ისე კულტურულ-განმანათლებელ ხაზით. სწორეთ ამით

აიხსნება ის გარემოება, რომ ეს ძველი დროიდან დარჩენილი აფერისტები, გლეხობის სიბნელის ექსპლოატორები, ნიკოლოზის დროის მამასახლისების და მღვდლების მიერ გაცემულ „დაპლომებით“ დაჯილდოვებული ექიმბაშები აშკარად განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმეებს და აქამდე ალაგმულნი არ არიან.

სხვათა შორის ხემათ აღნიშნულ ექიმბაშს ივანე დვალს აღმოაჩნდა ნიკოლოზის დროის მამასახლისის მიერ გაცემული „დიპლომი“ შემდეგი შინაარსისა: „ივანე დვალის განაკვეთისა შინ უმეტეს 30 წლისა არჩენს ავადმყოფთა, შეპყრობილთა სხვადასხვა სნეულებისაგან, მოიპოვა რა განსაკუთრებით დახელოვნება, რომლითაც მისდამი მიიღტვიან მრავალი ხალხისა, რომლებმაც მიიღეს და იღებენ მისგან მკურნებას ავადმყოფობაში“. ასეთივე ხასიათის მოწმობა მიღებული აქვს ღვდლისაგან.

სოფლად არიან როგორც ახალგაზრდა მოწინავე გლეხები, წითელ არმიში ნამსახურნი-სოფლის აქტივისტები, ისე ინტელიგენტი ძალები-მასწავლებლები, ექიმები, სასამართლოს მუშაკნი და სხვა. ნუ თუ არ შეიძლება ამ ძალების დარაზმვა და გამოყენება კულტურულ ფრონტზე სამუშაოდ?

მაგალითად ექიმების ჩაბმა საზოგადოებრივ კულტურულ მუშაობაში, მათ მიერ პოპულარულ ლექციების მოწყობას ექნებოდა დიდი მნიშვნელობა ექიმბაშობასთან და საერთოდ გლეხების სიბნელესთან საბრძოლოდ.

Осада—ალყა
 Осадный—საალყო
 Осадное положение—საალყო მდგომარეობა
 Освидетельствование, освидетельствовать—შემოწმება
 Освободить, освободждать, освобождение—განთავისუფლება
 Освободитель, освободительный—განმათავისუფლებელი
 Оседлость—ბინადრობა, სახლკარიანობა
 Оседлый—ბინადარი, სახლკარიანი
 Осквернение, осквернять—გაბილწება
 Оскопление—წყვილის გამოსხმა, დასაკურისება
 Оскопленный—წყვილ გამოსხმული, დასაკურისებული
 Оскорбитель—შეურაცხყოფელი
 Оскорбительный—შეურაცხსაყოფი
 Оскорбление—შეურაცხება
 Оскорблять, оскорбить—შეურაცხყოფა
 Ослушание—გაუგონრობა, ურჩობა
 Ослушник—გაუგონარი, ურჩი
 Осмотр, осмотреть—დათვალიერება
 Основание—საფუძველი; ფუძე, ძირი
 Основательно—საფუძვლიანად
 Основательность—საფუძვლიანობა
 Основательный—საფუძვლიანი
 Основать—დაარსება, დაფუძნება
 Основной—ძირითადი
 Особенно—განსაკუთრებულად
 Особенности—განსაკუთრებულობა
 Особенный—განსაკუთრებული
 Особый—განსაკუთრებული
 Оспаривать, оспорить—ცილება, დავობა

Оспоримость—მოსადევრობა, მოსადევებლობა
 Оспоримый—მოსადევარი, მოსადევებელი
 Оставить, оставление—მიტოვება, დატოვება, თავის მი-
 ნებება
 Остальной—დანარჩენი
 Остаток—ნაშთი, ნარჩენი
 Остаться—დარჩენა
 Останавливать, остановить—გაჩერება, შეყენება
 Осторожно—ფრთხილად
 Осторожность—სიფრთხილე, ფრთხილობა
 Осторожный—ფრთხილი
 Острый—მკრელი, ფხიანი, მახვილი, ბასრი
 Оуждение, оуждать—ძრახვა, მსჯავრდება
 Оужденный—დაძრახული, ნაძრახი, მსჯავრდებული
 Оуществление, оуществлять—გაარსება
 Ответ—პასუხი
 Ответная сторона—მოპასუხე მხარე
 Ответственность—პასუხისმგებლობა
 Ответственный—პასუხისმგებელი, საპასუხისმგებლო
 Ответствовать, отвечать—პასუხისგება, პასუხობა
 Ответчик—მოპასუხე
 Отвлечение—განყენება
 Отвлеченность—განყენებულობა
 Отвлеченный—განყენებული
 Отводить—გაყვანა, წაყვანა
 Отвод границ—საზღვრების გავლება
 Отвод земли—მიწის მიჭრა
 Отвод свидетеля, судьи—მოწმის ან მოსამართლის აცილება,
 განყენება

თავის თავად ცხადია, რომ ამ მუშაობაში მთავარი ადგილი უნდა დაიჭირონ სასამართლოს მუშაკებმა, რომელნიც სამწუხაროდ აქამდე კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას სოფლად სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ. საჭიროა აგრეთვე ამ მოვლენას გამოეცხადოს სასა-ტიკი ბრძოლა სასამართლოს რეპრესიის ხაზით და არ ქონდეს ადგილი იმას, რომ ხშირად დამნაშავე პირებს სასამართლოები უფარდებდნენ მცროოდნენ ჯარიმას ან პირობითი მსჯავრს, რის გამოთ ექიმბაშები კვლავ ვანავრდობენ თავიანთ ხელობას.

ი. პავლიაშვილი.

რევიზიის შედეგები*)

II.

ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხი სასამართლოების მუშაობაში არის დავიანებით საქმის განხილვა, რაიც სრულიად სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში. როგორც გამოკვლევის მასალები გვიჩვენებს, საქმის ხშირი გადადების და გაჭიანურების გამომწვევი მიზეზები იყოფა ორ კატეგორიად. პირველ კატეგორიას ეკუთვნის ისეთი მიზეზები, რომელნიც დამოკიდებულია თვით სასამართლოს მოქმედებაზე, ხოლო მეორე კატეგო-

რიას—მისგან დამოუკიდებელი, ასე ვსთქვათ, ობიექტიური მიზეზები: ადრესატის ბინაზე აღმოუჩენლობის გამო უწყების ჩაუბარებლობა, მსაჯულის გამოუცხადებლობა, მოსამართლის ავადმყოფობა და სხ. ჩვენთვის საყურადღებოა პირველი კატეგორიის ანუ სუბიექტიური მიზეზები, როგორიც არის:

- 1) უწყებების დავიანებით დაგზავნა; 2) ხელმოკრედ იმავე მისამართზე უწყების გაგზავნა, რომელზედაც წინეთ ადრესატი არ აღმოჩნდა; 3) უკვე განსახილველად დანიშნულ საქმეზე სრულიად უწყების გაუგზავნელობა; 4) ისეთი საქმის სამსჯავრო სხდომაზე გატანა და არა ერთხელ სხდომიდან მოხსნა-გადადება, რომელიც თავიდანვე ს. ს. ს. კ. 41 მუხლის ძალით უნდა მოსპობილიყო. საქმის გადადება-გაჭიანურების გამომწვევი მიზეზები სხვაც მრავალი არის და მათ შორის ის, რომ სასამართლო ხშირად პროცესში საჭირო ყურადღებას არ იჩენს და პირველ სხდომაზედვე მოსათხოვნ საბუთებს მხარეებისაგან მოითხოვს საქმის მეოთხედ და მეხუთედ გადადების შემდეგ და მით იწვევს მისი ერთხელ კიდევ ზედმეტ გადადებას. თქმულის ნათელსაყოფად მოვიყვანო რამოდენიმე მაგალითს.

ალიმენტის საქმეზე მაძებლის მიერ შეტანილ განცხადებაში ნაჩვენებ მისამართით მოპასუხეს ვგზავნება უწყება განჯაში. მაუხედავთ იმისა, რომ განჯის სამხარო მილიციიდან მიღებულ ცნობის მიხედვით ადრესატი

*) იხ. „საბჭოთა სამართალი“ № 15.

Отдавать, отдать—მიცემა
 Отдать под надзор—სამეთვალყუროდ მიცემა
 Отдать деньги в ссуду—ფულის გავალება
 Отдать деньги на проценты—ფულის გავასხება
 Отдать на поруки—სათავდებოდ მიცემა
 Отдел—ნაწილი, კარი; განყოფილება
 Отделение—განყოფილება
 Отделить, отделить—გამოყოფა
 Отдельная запись—გაყრილობის წიგნი
 Отдельно—ცალკე
 Отдельный—ცალკეული
 Отчество—მამული
 Отказ в иске—სარჩელზე უარის თქმა
 Отказ от права—უფლებაზე უარის თქმა
 Отказаться, отказаться—უარის თქმა, უკუთქმა, გადათქმა, უარობა, ხელის აღება
 Откладывание, откладывать—გადადება
 Отклонение—გადახრა, გადახრილობა, განხრა, განხრილობა, დაცილება
 Отклонение от закона—კანონის გადახვევა
 Открытие—აღმოჩენა, გახსნა, გაღება
 Открытие наследства—მემკვიდრეობის გახსნა
 Открыто—აშკარად
 Открытый—აღმოჩენილი, გახსნილი, გაღებული, ღია, აშკარა
 Отличие—თავჩინება, წარჩინება; განსხვავება
 Отлично—თავჩინებულად, წარჩინებულად, განსხვავებულად
 Отличный—თავჩინებული, წარჩინებული, განსხვავებული
 Отмычка—გამლი, საღები

Отмена, отменить—მოშლა
 Отметка, отмечать—ჩანიშვნა, აღნიშვნა, დანიშვნა
 Отметка (метка)—ნიშანი, ქდე, ნაქდევი
 Относительность—ფარდობითობა, შეფარდებითობა
 Относительный—ფარდობითი, შეფარდებითი
 Отношение—შეფარდება, ფარდობა, მიმართება, ურთიერთობა¹⁾
 Отношение (взаимное)—თანაფარდობა
 Отношение обратное—შექცეული ან შებრუნებული შეფარდება, უკუფარდობა
 Отобрание, отобрать—ჩამორთმევა
 Отождествление, отождествлять—გაიგივება
 Отпечаток—ნატვიფარი
 Оплатить—ზღვევა, მაგიერის გადახდა
 Отравление, отравлять—გაგზავნა
 Отправление службы, обязанности—შესრულება სამსახურისა, მოვალეობისა
 Отправление обязанностей судьи—მსაჯულობა
 Отпускать, отпустить—გაშვება, განტყევა
 Отпуск—შვებულება? მურახასი²⁾
 Отравление—საწამლავი
 Отравить, отравлять—მოწამლა
 Отражение—ანარეკლი, უკუქცევა
 Отражать, отразить—არეკლება
 Отрасль—დარგი
 Отречение—უარის თქმა, ხელის აღება
 Отрицание—უარყოფა, უარქმნა
 Отрицательный—უარყოფითი, უარსაყველი
 Отрешение—გადაყენება

იქ არ სცხოვრობს, მას მეორეხელ ეგზავნება უწყება იმავე მისამართით; მილიცია მეორედ იუწყება, რომ მოპასუხე განჯაში არ სცხოვრობს, მაგრამ მესამე ხელაც იმავე მისამართით იგზავნება უწყება.

სასამართლოების წარმოებაში არის მთელი რიგი საქმეებისა, რომელნიც გატანილია სხდომაზე განსახილველად, ხოლო მოხსნილია იმიტომ, რომ უწყებები არ ყოფილა დაგზავნილი და, მათსადამე, არავინ გამოცხადებულა.

სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულს ბრალი ედება ფულის გაფლანგვაში, რაც საკმაოდ დასაბუთებულია გამოძიებით. პირველად საქმე მოიხსნა სხდომიდან და გადაიდო ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო მისი შედგომ სხდომაზე იძულებითი მოყვანით. მიწერილობის დაგვიანებით მიღების გამო მილიციამ ვერ წარმოადგინა დანიშნულ დროს ბრალდებული სასამართლოში და საქმე მეორეხელ გადაიდო, შემდეგ ერთხელ კიდევ გადაიდო და დაბოლოს ბრალდებულის დაუსწრებლად სასამართლო სპობს საქმეს „მხილებათა სიმცირისა გამო“.

ან კიდევ:

საქმეზე არის სამი ბრალდებული, რომელთაც ბრალი ედებათ სისხ. სამ. კოდ. 119 მუხლში (ძველი რედაქციით) გათვალისწინებულ დანაშაულში. ეს საქმე რვაჯერ არის მოხსნილი სხდომიდან. პირველად გადადებულია

ერთი ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო; მეორედ ახალი მოწმეების დასახელების გამო; მესამედ და მეოთხედ ყოველგვარი მოტივების უქონლობის გამო; მეხუთედ—ორი ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო; მეექვსედ—უწყების გამოუწერლობის გამო; მეშვიდედ—თავმჯდომარის ავადმყოფობის გამო და მერვედ—ბრალდებულთა უმრავლესობის გამოუცხადებლობის გამო. ყოველივე ამის შემდეგ საქმე ისპობა ს. ს. ს. კ. 4¹ მუხლით.

სამოქალაქო საქმის გადადების მიზეზი დაახლოებით იგივეა, რაც სისხლის სამართლისა იმ განსხვავებით, რომ საქმის გაკვიანურების თავიდან ასაცილებლად აქ სასამართლოს კიდევ უფრო ნაკლები ინიციატივა აქვს გამოჩენილი.—საქმე 30 მანეთის ძიებაზე ერთი წლის განაგლობაში მეცხრედ არის გადადებული ერთი და იმავე მიზეზის გამო.

დაახლოებითი გამოანგარიშებით სასამართლოების წარმოებაში მყოფ თვითეულ საქმეზე მოდის სამი სხდომა. ეს გარემოება ანახევრებს მათი მუშაობის ნაყოფიერებას და ვიდრე ჩვენ არ მივალწევთ იმ მდგომარეობამდე, როდესაც შესაძლებელი გახდება საქმის დაუგვიანებლივ განხილვა, ხალხის საყვედურს ვერ ავიცილებთ.

ნაკლები მნიშვნელობის დეფექტებზე, რომელნიც თავისი სიმრავლის გამო არა ნაკლებ ცუდ კვალს სტოვენს სასამართლოს მუშაობაზე ვილაპარაკებთ შემდეგ წერილში.

უკანასკნელი გაპროტესტება!!!

დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო ხელისმომწერლებს, რომლებთანაც დღემდე არ გადაუხდიათ ქურნალ „საბჭოთა საქართველოს“ ფული — რედაქცია აფრთხილებს უკანასკნელად, რათა სასწრაფოდ გაასწორონ ანგარიში.

უახლოეს ნომრებში გამოქვეყნებული იქნება სია იმ ხელისმომწერლებისა, რომლებიც არ შეასრულებენ რედაქციის მოთხოვნილებას.

- Отрывать — მოშორება, მოხვევა, მოწყვეტა
- Отрывать от дела, работы — მოკლენა
- Отряд — რაზმი
- Отсрочка — გადავადება
- Отступление — უკუქცევა, უკუდგომა
- Отступное — სარუყუფი, გასამკლელო, ჩამოსაშორი
- Отсутствие, отсутствовать — დაუსწრებლობა, უყოლობა, უქონლობა
- Отчет — ანგარიში
- Отчетность — ანგარიშგება
- Отчетный — საანგარიშო
- Отчисление — ანარიცი
- Отчуждаемость — გასხვისებადობა
- Отчуждаемый — გასხვისებადი
- Отчуждение, отчуждать, отчуждить — გასხვისება
- Отчужденный — გასხვისებული
- Официально — ოფიციალად
- Официальный — ოფიციალი
- Охота — ნადირობა
- Охотник — მონადირე
- Охотничий — სანადირო
- Охрана — მცველობა, მცველი
- Охранение — დაცულობა
- Охранять — დაცვა, ცვა
- Охранительный — დასაცველი, დასაცავი
- Оценка, оценивать, оценить — დაფასება, შეფასება, ფასის დადება
- Оценочный — სადამფასებლო
- Оценщик — დამფასებელი, შემფასებელი
- Очевидец — თვალთმინახველი, თვალთმხილველი
- Очевидно — ცხადათ, საჩინოდ
- Очевидный — თვალსაჩინი, თვალსახილველი
- Очередь — ჯირი, რიგი
- Очередной — მორიგე, ჯერეული, სარიგი
- Очередность — მორიგეობა, ჯერეულობა
- Очная ставка — პირდაპრობა, პირსწაყენება
- Очистка — გაწმენდა, გაწმენდილობა
- Ошибка, ошибаться — შეცდომა, ცდომილება
- Ощутительный — საგრძნობი

- Ощутительность — საგრძნობობა
 - Ощутимый — საგრძნობადი
 - Ощутимость — საგრძნობადობა
 - Ощущение, ощущать, ощутить — შეგრძნება, შეგრძნობა
- პ. ქავთარაძე.

იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი)

კითხვა:

მე მქონდა მიწის მთელი ნორმა თერჯოლის თემში, მაგრამ 1923 წელში ადგილობრივმა კომისიამ მისი ნახევარი ჩამომართვა, ვმსახურობ მუშათა და გლეხთა მილიციის უმცროს მილიციელის თანამდებობაზე უკვე ორი წელიწადია. ამ ქამად მართმევენ ამ ნახევარ ნორმასაც, რომელსაც საკუთარი ძალებით ვამუშავებდი. მე მყავს სარჩენი სამი სული. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენად კანონიერია ჩემგან როგორც უნცროს მილიციელისაგან ამ ნახევარი ნორმის ჩამორთმევა და თუ ეს არ არის კანონიერი, ვის უნდა მივმართო.

ნიკოლოზ ვლადიმერის ძე იაშვილი.

პასუხი:

თანახმად მომქმედ კანონისა (მიწის კოდ. 66 მუხ.) მუშათა და გლეხთა მილიციის თანამშრომელს ენახება უფლება შრომითი სარგებლობისათვის დატოვებულ მიწაზე იმ შემთხვევაში, თუ ის დროებით არის მოწყვეტილი საკუთარ მეურნეობას. მოყვანილი კანონის აზრის მიხედვით შეენახება მიწა მუშათა და გლეხთა მილიციის იმ თანამშრომელს, ვისი სამსახურიც ვადით არის განსაზღვრული. ასე რომ თუ თქვენ ვადით განუსაზღვრელ სამსახურში იმყოფებით, აღნიშნული შეღავათით ვერ ისარგებლებთ და საადგილ-მამულო ორგანოებს შეუძლიათ ეს მიწა თქვენ ჩამოგართვან. მაგრამ თუ მიუხედავად თქვენი სამსახურის აღნიშნული ხასიათისა თქვენი ოჯახის სარგებლობაში დატოვებულ მიწას ამუშავებს თქვენივე ოჯახი საკუთარი ძალებით, ასეთი თქვენს ოჯახს არ ჩამოერთმევა. (მიწ. კოდ. 923 და 13 მუხლების პრინციპების მიხედვით). მიწის ჩამორთმევის გასაჩივრება შეიძლება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში.

კანონმდებლობის მიმოხილვა.

1928 წ. სექტემბრის 16-დან სექტემბრის 30-მდე.

აგიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. კანონმდებლობა

არჩმვნები, სახეობა ყრილობა

О производстве на территории ЗСФСР перевыборов в советы и созыва с'ездов советов 1928—29 г. (ც. ა. კ.-ის 1928 წ. სექტემბრის 17 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 221, სექტემბრის 25).

მორიგი, მე-5 ამ.-კავკ. საბჭოთა ყრილობა მოწვეულ უნდა იქნეს ქ. ტფილისში 1929 წ. აპრილის 1-ს.

ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ც. ა. კ-ებმა არჩევნების წინა საანგარიშო კამპანია უნდა დაიწყონ 1928 წ. დეკემბრიდან არჩევნები საბჭოებში—1929 წ. თებერვლიდან, რესპუბლიკანური ყრილობა კი უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს მარტის 20-სა და ცალკე რესპუბლიკების ც. ა. კ-ებს შეუძლიან ახალი არჩევნები ცალკე რაიონებში ადგილობრივი პირობების მიხედვით დაიწყონ აღნიშნულ ვადამდე.

ახალი არჩევნების ჩატარებისა და ყრილობების მოწვევის დროს სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული ა-კ. ც. ა. კ.-ის 1927 წ. დეკემბრის 5 ინსტრუქცია „1928 წ. საბჭოებში არჩევნების შესახებ“ ა-კ. ც. ა. კ.-ის პრეზიდიუმის მიერ მიღებულ ამ ინსტრუქციის ყველა დამატებით და ცვლილებით ამა ინსტრუქციის ყველა შემდგომი ცვლილება ადგილობრივი და ყოფითი პირობებთან დაკავშირებით შეიტანება მხოლოდ მის შემდეგ, რაც მას დაამტკიცებს ა-კ. ც. ა. კ.-ის პრეზიდიუმი.

ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ც. ა. კ-ები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენენ ცენტრალური ადგილობრივი საარჩევნო კომისიების შედგენას და მიიღონ სათანადო ღონისძიებანი მორიგი სა-არჩევნო კამპანიის მომზადებისა და ნორმალურად ჩატარებისათვის და საბჭოთა ყრილობების მოწვევისათვის.

კრედიტი

Об утверждении и введении в действие положения о финансировании сельского хозяйства по единому государственному бюджету ЗСФСР (ც. ა. კ.-ისა და ს. კ. ს.-ის 1928 წ. სექტემბრის დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 224, სექტემბრის 28).

ასიგნებები ამ-კავკ. ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სასოფლო მეურნეობისათვის ფინანსების მისაწოდებლად დაიყოფა დასაბრუნებელ და დაუბრუნებელ ასიგნოვებად.

ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების მიწადამოქმედების სახკომების ხარჯთ აღრიცხვებში შეიტანება მხოლოდ დაუბრუნებელი ასიგნოვები ასეთებად ჩაითვლება ასიგნოვები სამეურნეო ანგარიშით მოქმედი სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საწესდებო კაპიტალებში, ა-კ სასოფლო-სამეურნეო ბანკის და სასოფლო-სამკრედიტის საზოგადოებათა ძირითად კაპიტალებში მსხვილი მამულების საირიგაციო, სამელიორაციო და სხვ. ღონისძიებისათვის, აგრეთვე სხვა ღონისძიებებისათვისაც, ა-კ. მთავრობის სპეციალურ დადგენილებით ყოველ ცალკე შემთხვევისათვის

დასაბრუნებელი ასიგნოვები მიიცემა ა-კ. ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სესხად სასოფლო-სამეურნეო ღონისძიებებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ღონისძიებისათვის საჭიროა განსაკუთრებული პირობები ვადების, პროცენტის განაკვეთის და კრედიტების წესის მხრივ.

ყველა დასაბრუნებელი ასიგნვა გადაეცემა ა-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს ან მასთან არსებულ ფონდებში ანდა სპეციალური დანიშნულების სახსრად, ამა თუ იმ ფონდის შედგენის, ამ ფონდით სარგებლობის და ლიკვიდაციის წესი განისაზღვრება ა-კ. საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებულ დებულებით სათანადო ფონდის შესახებ.

ფონდის თანხებს ფონდის არსებობის მთელი დროის განმავლობაში ბანკები მოახმარებენ მხოლოდ იმ ღონისძიებათა რომლებსათვისაც დაარსებულია ფონდი, და საფონდო ასიგნებები გადავა ხაზინაში მხოლოდ ფონდის ლიკვიდაციის დროს.

ფონდები, რომლებზედაც იყო ლაპარაკი ზევით, შემდგენიანია: გავლასთან ბრძოლის ფონდი, ფონდი უღარიბეს გლეხობისათვის სესხის მისაცემად და ფონდი კოლექტიური მეურნეობათათვის სესხის მისაცემად.

სპეციალური დანიშნულების სახსრები გადაეცემა ა-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებისათვის გადასაცემად და ა-კ. მთავრობის დავალების შესრულების წესით მისაღებ განსაზღვრულ ღონისძიებისათვის სესხის მისაცემად და გაცემულ სესხის დაფარვისთანავე დაებრუნება ხაზინას.

სპეციალური დანიშნულების სახსრების სარგებლობის წესი განისაზღვრება ცალკე ხელშეკრულებით ხაზინასა და (ა-კ. ფინსახკომი) და ა-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს შორის.

სპეციალური დანიშნულების თანხებად ჩაითვლება: ასიგნოვები მოახალშენეთათვის სესხის მისაცემად და ასიგნოვები სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა და მათი კავშირების ძირითად კაპიტალებში სესხის მისაცემად.

შემოაღნიშნულ ფონდების და სპეციალური დანიშნულების სახსრებს გარდა ა-კ. მთავრობის დადგენილებით შეიძლება დაარსდეს სხვა ფონდები და სპეციალური დანიშნულების სახსრებიც.

ფონდების და სპეციალური დანიშნულების სახსრების დაარსება, ასიგნოვები ამ ფონდებში და სახსრებში და მათი სარგებლობის წესი შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო ღონისძიებათა საერთო-საკავშირო გეგმებთან.

Об утверждении правил распределения на возвратные и безвозвратные госбюджеты ассигнований кооперации ЗСФСР и установления технического порядка передачи возвратных ассигнований в распоряжение отдельных республик, входящих в состав ЗСФСР (ს. კ. ს.-ის 1928 წ. აგვისტოს 23 დადგ.— № 64, „ზარ. ვოსტ.“ № 223, სექტემბრის 27).

დაბრუნებულ ასიგნვად იმ სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებებიდან, რაც მიცემულია გრძელვადიან სესხად ა-კ. კოოპერაციისათვის 1927 წ. ოქტომბრის 1-დგ, ჩაითვლება: სესხი, რაც ირიცხება ლიკვიდაცია ქნის კოოპერაციაზე, რომელსაც არა ჰყავს უფლებათა მონაცვლე და რომლის შემდეგაც არ დარჩენილა დავალიანების გასასტუმრებლად საკმაო ქონება; სესხი, რის ჩამოწერაც გათვალისწინებული შრომისა და თავდაცვის საბჭოსი და ა-კ. სახკომსაბჭოს უკვე გამოცემულ დადგენილებით; სესხი, მიცემულ იყო კოოპერატიული ორგანიზაციის იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც მას მოუვიდა სახელმწიფო დავალებათა შესრულების გამო.

დასაბრუნებელ ასიგნვად ჩაითვლება 1927 წ. ოქტომბრის 1-მდე გაცემული ყველა სესხი, რომელიც არ მიეკუთვნა ზემოაღნიშნულ კატეგორიას და სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნობების (1927 წ. ოქტომბრის 1-მდე) თანხები, რაც არ მიეცა გრძელვადიან სესხად კოოპერატიულ ორგანიზაციებს და ირიცხება სრ. რუსეთის კოოპერატიული ბანკის რესპუბლიკანურ განყოფილებებში ზემოაღნიშნულ დროისათვის.

დასაბრუნებელ ასიგნებების ზუსტ რაოდენობას განსაზღვრავს ა-კ. ფინსახკომი ა-კ. ვაჭრობის სახკომთან, კოოპერაციის ყველა სახის ა-კ. კოოპერატიულ ცენტრებთან და სრ. რუს. კოოპ. ბანკის საქართველოს განყოფილებასთან ერთად.

ამ რაოდენობის განსაზღვრისა და ამის შესახებ სპეციალური აქტის შედგენის შემდეგ ა-კ. ფინსახკომი აცნობებს ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ფინსახკომებს, ხოლო სრ. რუს. კოოპ. ბანკის საქართველოს განყოფილება—ბანკის განყოფილებებს სომხეთში და აზერბეიჯანში დასაბრუნებელ ასიგნებების საერთო თანხის თვითულ რესპუბლიკისათვის; ეს თანხები შეადგენენ სათანადო რესპუბლიკის კოოპერაციის გრძელვადიანი და კრედიტების საერთო ფონდის ძირითად შინაარსს. ამ ციფრების მიხედვით რესპუბლიკანური ფინსახკომები დასდებენ სრ. რუს. კოოპერატიული ბანკის განყოფილებასთან აზერბეიჯანში, სომხეთში და საქართველოში, ხელშეკრულებებს აღნიშნულ თანხების გრძელვადიანი კრედიტის საერთო ფონდებში გადაცემის შესახებ, რომლებშიც გათვალისწინებულ უნდა

იქნეს როგორც გადაცემის პირობები, ისე საერთო ფონდის თანხების სარგებლობის წესი.

ამა თუ იმ რესპუბლიკისათვის დასაბრუნებელ ასიგნებების რაოდენობის შეტყობინებასთან ერთად ა.კ. ფინსახკომი და სრ. რუს. კოლ. ბანკის საქართველოს განყოფილება, ზემოაღნიშნულ წესით განსაზღვრავენ საერთო ფონდების მეორე შემადგენელ ნაწილსაც, (ეს გარემოება აღინიშნება აქტში).

საერთო ფონდის თანხებით სარგებლობის მთელი დროის განმავლობაში რესპუბლიკანური ფინსახკომები აწარმოებენ ამ ფონდებიდან გაცემულ სესხების მოძრაობის აღრიცხვას და აგრეთვე ამ სესხებით ფონდში შემოსულ თანხების აღრიცხვას.

ამ-კავკ. კოლხერატიულ ორგანიზაციათა მიმართ სათანადო დასაბრუნებელ ასიგნებების აღრიცხვას აწარმოებს ა.კ. ფინსახკომი და ეს აღრიცხვა გადადის ცალკე რესპუბლიკის ფინსახკომზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ა.კ. უმაღლ. ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით ისინი გადარიცხულ იქნებიან რესპუბლიკანურ კოლხერაციისათვის ფინანსების მოსაწოდებლად.

ფინანსები

О закрытии кредитов по государственному и местному бюджету для обеспечения сокращения административно-хозяйственных расходов (ს. კ. ს-ის 1928 წ. სექტემბრის 21 დადგ.—№ 66 „ზარ. ვოსტ.“ № 220, სექტემბრის 23).

ამ-კავკ. ს. ფ. ს. რ-ის და ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ფინსახკომებმა ყველა შემთხვევაში, როდესაც თვით ისინი ან აღნიშნულ რესპუბლიკების მუშაგუნებები დაადასტურებენ, რომ 1927—28 წელს საერთო-საფედერაციო ან რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას სადმინისტრაციო-სამმართველო საქართველოსათვის აუღია ფული სათარგოთა. საბიუჯეტო კრედიტებიდან, სპეციალურ სახსრიდან ან სხვა რამ წყაროდან, დაეხუროს კრედიტი 1927—28 წ. სათანადო ბიუჯეტით იმ თანხის რაოდენობით, რაც მათ აუღიათ. ამავე დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, წლიური დანიშნულების მიხედვით, უწყების ოპერატიული (მეტადრე სააღმშენებლო) ხარჯები ფაქტიურის 1928 წ. ოქტომბრის 1-მდე, მოთხოვნილების ფარგლებში და აგრეთვე სადმინისტრაციო სამმართველო ხარჯების წლიური ვარაუდის სექტემბრის წილი და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყოველი უწყების თავისებურება ხარჯთ-აღრიცხვის შესრულების დარგში, კერძოდ, წინა თვეების გაუმართლებელი გადასახდელები.

ყოველ დავას ამ მხრივ საბოლოოდ გადასწყვეტს კომისია, რომელიც შესდგება ამ-კავკ. ს. ფ. ს. რ. და ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა და მუშაგუნების სახ. კომისიებისაგან, კუთვნილებისამებრ, და დაინტერესებულ უწყებათა ხელმძღვანელებისაგან.

ამ-კავკ. და ცალკე რესპუბლიკების ფინსახკომებმა ზედმოწვევით უნდა შეამოწმონ 1927—28 წ. დამლევის, თუ რამდენად შეუსრულეობით საერთო-საფედერაციო და რესპუბლიკანურ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათ ა.კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის დირექტივები სადმინისტრაციო სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ და ზუსტად გამოარკვიონ აღნიშნულ საქართველოსათვის საოპერაციო კრედიტების, სპეციალური სახსრებისა და სხვა წყაროების გამოყენების შემთხვევები, და პასუხისგებაში მისცენ ყველა, ვინც არ ასრულებს აღნიშნულ დირექტივებს.

ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა ხელმძღვანელები პერსონალურად აგებენ პასუხს სადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ ა.კ. მთავრობის დირექტივების მტკიცე შესრულებისათვის.

ამ-კავკ. ს. ფ. ს. რ. შენავალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა უნდა გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათათვის.

სოციალური უზრუნველყოფა

О персональных пенсиях (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. სექტემბრის 3 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 222, სექტემბრის 26)

პერსონალური პენსია დაენიშნება ისეთ პირს, ვისაც რაიმე განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის რევოლუციონური, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ან კულტურულ მუშაობის ან ს. ს.

რ. კავშირის დაცვის დარგში, ხოლო ასეთი პირის სიკვდილის შემდეგ—მისი ოჯახის წევრებს.

პერსონალურ პენსიას, საერთო წესად, დანიშნავს ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკის იმ ადგილის ორგანო სადაც პენსიით უზრუნველსაყოფი პირი ცხოვრობს, და იმ საფუძველთა და იმ წესით რაც გათვალისწინებულია სათანადო რესპუბლიკის კანონებში, ხოლო იმ პირთ, რომლებზედაც ვრცელდება 1926 წ. მარტის 19 დებულება მ.-გ. წითელი არმიის საკადრო სამეთაურო შემადგენლობის სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ (ს. ს. ს. კავშ. კან. კრ. 1928 წ. № 15, მუხ. 124) პენსია მიეცემათ ამა დებულების 8 მუხლის წესით.

ა.კ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს შეუძლიან გამონაკლისად, დაუნიშნოს ამა თუ იმ პირს პერსონალური პენსია თავის დადგენილებით, ასეთი პირის (მას უნდა ჰქონდეს რაიმე განსაკუთრებული დამსახურება) პენსიის რაოდენობა განისაზღვრება ყოველ ცალკე შემთხვევაში იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აქვს მას დაკარგული შრომის უნარი, რამდენი პირი ჰყავს სარჩენი და რამდენს იღებდა იგი ჩვეულებრივ შრომის უნარიანობის დაკარგვის მომენტამდე. ასეთ შემთხვევაში პერსონალური პენსია არ უნდა აღემატებოდეს პასუხისმგებელ პოლიტიკურ მუშაკთა ტარაფის იმ ადგილის უმაღლესი ძირითადი განაკვეთის ერთ-ნახევარს, სადაც პენსიით უზრუნველსაყოფი ცხოვრობდა პენსიის დანიშნვის დროისათვის. ასეთი პირის ოჯახის წევრების პენსიის რაოდენობა განისაზღვრება ყოველ ცალკე შემთხვევაში იმის მიხედვით, თუ რამდენი პირი იყო გარდაცვალებულის რჩენაზე და როგორი იყო ოჯახის ბიუჯეტი გარდაცვალების მომენტისათვის. ყველა ამ პირთა პენსია ერთად არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნულ მაქსიმუმს. ამ პირთ პენსია მიეცემათ შემდეგი საფუძველით: არაშრომის უნარიანს—სიკვდილამდე, არასრულწლოვანს 18 წლამდე, მოსწავლეს—ტენჯიკუმის ან უმაღლეს სასწავლებლის დამთავრებამდე თუ ამ დღისათვის მას არ შეუსრულებია 25 წ., დანარჩენებს—ა.კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ყოველ ცალკე შემთხვევისათვის. უკეთუ პენსიონერს აქვს საშოვარი, რომელიც პენსიასთან ერთად აღემატება აღნიშნულ მაქსიმუმს, პენსია შემცირდება სათანადოდ.

პერსონალური პენსიების ხარჯი შეიტანება ა.კ. ფინსახკომის ხარჯთაღრიცხვაში, უკეთუ პერსონალური პენსია დაენიშნება ისეთ პირს, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს პენსია სოციალურების წესით უკანასკნელის ორგანოები ხაზინის შემოსავლად ა.კ. ფინსახკომის ხარჯთაღრიცხვით შეიტანენ თანხას. რაც უდრის ნორმალური უზრუნველყოფის რაოდენობას.

იმ პირს, რომელიც იღებს, პერსონალურ პენსიას, არ მიიღებს სახელმწიფოსაგან არავითარ სხვა უზრუნველყოფას, ხოლო თუ მას მიეცემა უზრუნველყოფა ნატურით, უკანასკნელის ღირებულება გამოერცხება პენსიის თანხიდან.

ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ც. ა. კ-ებმა უნდა შეიტანონ თავიანთი კანონმდებლობაში ცვლილებანი რაც გამოამდინარეობს ამა დადგენილებიდან.

სოციალური დაზღვევა

О новой редакции постановления о Запавказном совете социального страхования при народном комиссариате труда ЗСФСР (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. სექტემბრის 3 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 221, სექტემბრის 25).

გამოც. თანახმად ს. ს. რ. კავშ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს დებულების 1 მუხ. (კან. კრ. 1925 წ. № 8, მუხ. 74).

დადგენილებით დამტკიცებულა და სამოქმედო შემოღებული სათაურში აღნიშნული დებულება (თვით დებულება თანდართულია) ხოლო 1928 წ. იანვრის 18 იმავე სახელწოდების დებულება და ა.კ. ს. ფ. ს. რ. ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1927 წ. მაისის 23 დადგენილება უკანასკნელი დებულების მე-2 მუხ. ახალი რედაქციის შესახებ გამოცხადებულია ძალა დაკარგულად.

О компенсации рабочих и служащих членов общества „Друзей радио“, участвующих в маневрах НКА (ც. ა. კ-ის 1928 წ. სექტემბრის 21 დადგ.—„ზარ. ვოსტ.“ № 219, სექტემბრის 22).

„რადიოს მეგობართა“ საზოგადოების წევრ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ კავკ. წითელ არმიის მა-

ნვერებში ა.კ. ს. ფ. ს. რ. შემავალ რესპუბლიკებში, შექმარებულია სამსახური და საშუალო სამუშაო ხელფასი ა. წ. სექტემბრის 28-დან ოქტომბრის 6-მდე.

საქართველოს ს. ს. რ. კანონმდებლობა

შრომა

შრომის გმირთა შესახებ (ც. ა. კ-ისა და ს. კ. ს-ის 1928 წ. ივლისის 11 დადგ. № 54, „კომუნისტი“ № 217, სექტემბრის 18).

შრომის გმირის წოდება შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, ვისაც წარმოებისა, სამეცნიერო მოღვაწეობისა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სამსახურის სფეროში განსაკუთრებული დამსახურებანი მიუძღვის და რომელსაც დაქირავებით უმუშავებია არა ნაკლებ 35 წელს სტაჟის გამოანგარიშების დროს არმიში გატარებული დრო არ გამოირიცხება.

წოდებებს მინიჭება მოხდება სრ. საქ. ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის დადგენილებით, სამხედრო მსახურთათვის კი - ს. ს. რ. კავშირის ც. ა. კ-ის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სამხედრო ტერიტორიალურ სამმართველოს წარდგენით.

შრომის გმირს შეიძლება ჩამოერთვას ეს წოდება მხოლოდ იმ ორგანოს დადგენილებით, რომელმაც მას ეს წოდება მიანიჭა.

შრომის გმირს, რომელსაც დაქირავებით უმუშავებია არა ნაკლებ 34 წლისა, სოციალური ორგანოს მიერ მიეცემა პენსიად თუ იგი აღარ მუშაობს, სრული საშუალო ხელფასის სამი მეოთხედი, შრომის უნარისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. ხოლო თუ იგი განაგრძობს მუშაობას—ამ პენსიის ნახევარი იმ შრომის გმირს კი, რომელსაც 35 წ. ნაკლები უმუშავებია დაქირავებით პენსია აღნიშნული რაოდენობით მიეცემა იმ შემთხვევაში, უკეთეს იგი ინვალიდთა პირველ სამ ჯგუფ შორის ერთ-ერთ ჯგუფშია ჩარიცხული.

პენსიის გამოანგარიშების დროს საფუძვლად მიიღება სრული საშუალო თვიური ხელფასი იმ სამი საკალენდრო თვისა, რაც წინ უძღვის გმირის წოდების მინიჭებას, ხოლო თუ ასეთი პირი დაქირავებით აღარ მუშაობს—დაქირავებით მუშაობის სამი უკანასკნელი თვისა.

გარდაცვალებულ შრომის გმირის ოჯახის წევრებს, რომელნიც ჩამოთვლილ არიან 1925 წ. აგვისტოს 28 თარიღით გამოცემულ დებულების მე-4 მუხლში (ს. ს. რ. კავშ. კან. კრ. 1925 წ. № 57) მუხ. 429) მიეცემათ პენსიად: უკეთეს უზრუნველსაყოფია სამი ან მეტი პირი—სრული პენსიის ორი მესამედი, უკეთეს ორია—ნახევარი და უკეთეს ერთი—პენსიის ერთი მესამედი. ასეთივე რაოდენობით პენსია მიეცემათ იმ გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ შრომის გმირების ოჯახის წევრებს, რომელთაც ეძლეოდა ნახევარი პენსია ან სრულებით არ ეძლეოდა იგი.

შრომის გმირს არ გადახდება საშემოსავლო გადასახადი, უკეთეს მისი შემოსავალი არ აღემატება 6000 მან. წელიწადში, ხოლო უკეთეს იგი ამ თანხას აღემატება, დასაბეგრ თანხიდან გამოირიცხება ეს 6000 მან. შრ. გმირის პენსია არ დაიბეგრება აგრეთვე ერთიანი სას. სამეურნეო გადასახადით, რომლის 20 პროც. განთავისუფლდება აგრეთვე ის მეურნეობაც, რომელშიაც შრომის გმირი შედის.

შრომის გმირი, რომელიც დაქირავებით არ მუშაობს და რომელსაც პენსიის გარდა არავითარი სხვა შემოსავალი არა აქვს, ბანის ქირას იხდის მუშა-მოსამსახურეთა თანაბარი განაკვეთით, პენსიის 75 პროც. ვარაუდით; ხოლო უკეთეს იგი განაგრძობს დაქირავებით მუშაობას, ქირას იხდის თავისი ხელფასის მიხედვით, პენსიის ანგარიშში მიუღებლად.

ზედმეტ სივრცისათვის შრომის გმირი ქირას იხდის მხოლოდ ერთმაგი რაოდენობით. მისი გამოსახლება სახლიდან ადმინისტრაც-

ტიული წესით შეიძლება მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ მას მიეცემა გამოსადეგი თავისუფალი საცხოვრებელი სივრცე და სატრანსპორტო საშუალებანი.

კომუნალური მომსახურეობის სასყიდლო შემცირდება 25 პროც. იმ ნორმალურთან შედარებით, რაც დაწესებულია მუშა-მოსამსახურეთათვის; საექიმო და საკურორტო დახმარება მიეცემა დახლეულთა თანაბარ პირობებში.

შრომის გმირის შვილები და ყველა მის კმაყოფაზე მყოფი პირი სასწავლებელში მიღების დროს მიეთანხარებიან ფიზიკური შრომის პირთა შვილებს და განთავისუფლდებიან სწავლის სასყიდლისაგან.

შრომის გმირის შენობა, სატრანსპორტო საშუალება და ოთხფეხა საქონელი თავისუფალია ადგილობრივი გადასახადისაგან, თუ იგი მათ არ გამოიყენებს საექსპლუატაციოდ. სოც. უზრუნველყოფის დაწესებულებებში შრომის გმირი რიგს გარეშე მიიღება.

ყველა ზემოაღნიშნული უპირატესობა გაცრცელდება იმ პირზედაც, რომელიც ცნობილია შრომის გმირად ამა დადგენილების გამოცემამდე, თუ მას დაემტკიცება შრომის გმირობა ამა დადგენილების წესით.

განათლება

სასწავლო დაწესებულებათა ქსელის შესახებ (ს. კ. ს-ის 1928 წ. აგვისტოს 14 დადგ.—„კომუნისტი“ № 22, სექტემბრის 25).

პირველი საფეხურის სკოლები, სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებანი, მე-2 საფეხურის, გლეხთა ახალგაზრდობის და პროფესიონალური სკოლები, ტექნიკუმი, მაღალი ტიპის და მოძრავი სკოლები დაარსებულ უნდა იქნენ სამაზრო აღმასკომის წარმოდგენით. რასაც განათლების სახკომის დასკვნის მოსმენის შემდეგ, დაამტკიცებს სახკომსაბჭო.

უმაღლეს სასწავლებელთა ფაკულტეტების, განყოფილებების ან კათედრების რიცხვის გადიდება ან შემცირება მოხდება სათანადო უმაღლესი სასწავლებლის გამგეობის წარდგენით და დამტკიცდება ზემოაღნიშნული წესით.

შრომის სკოლების ქსელის შემუშავების დროს პირველ რიგში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არსებული სკოლების ბუნებრივი ზრდა.

დამტკიცდა ამ ეამად არსებული სასწავლო დაწესებულებათა ქსელი, რომელშიაც ამა თუ იმ ცელიკობის შეტანა შეიძლება მხოლოდ ამ დადგენილებაში გათვალისწინებული წესების მიხედვით.

სამოქალაქო მდგომარეობის აქტები

საქართველოს ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის მიერ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ 1921 წ. აპრილის 28-ის თარიღითა და 28 №-ით გამოცემული დეკრეტის 34 მუხლის შეცვლის შესახებ

(ც. ა. კ-ის 1928 წ. აგვისტოს 1 დადგ. № 61, „კომუნისტი“ 224, სექტემბრის 27).

აღნიშნულ დეკრეტის მე-17 (1925 წ. იანვრის 27 № 5 დადგენილების რედაქციით—კან. კრ. 1925 წ. № 1 მუხ. 5) და 29 მუხ. აღნიშნული ვადის გადაცილება არა პატივსაძებნი მიზეზით-გამოიწვევს ფულად ჯარიმას არა უმეტეს 15 მან. რაც დაიდება ადმინისტრაციული წესით სისხლ. სამ. კოდ. გათვალისწინებული ამდგომისათვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადების წესის თანახმად (ძველ რედაქციით ზოგადად იყო—გათვალისწინებულ დასჯა სახალხო სასამართლოს მიერ).

ა. ქ.

შეცდომის განხორკება.

„საბჭოთა სამართლის“ მე-18 № ის კანონმდებლობის მიმოხილვარი შეპარულა რამდენიმე კარეკტურული შეცდომა: სათაურში მოყვანილია „კომუნისტი“-ს 193 №, —უნდა იყოს 194; მეოთხე აბზაცში 81 მუხ. 1 და 2 ნაწ.

შემდეგ უნდა იყოს 84 მუხ 2 ნაწ. (დაბჭდილია მხოლოდ «2 ნაწ»); 178 მუხ. «გ» პუნ. ნაცვლად უნდა იყოს 177 მუხ. «ზ» პუნ და 194 მუხ. 1 ნაწ. ნაცვლად — 194 ნაწ. 3 ნაწ.

გ. ძ.

ქვეყნის სახალხო კომისარიატის ცირკულარი № 14.



შინაარსი: იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცირკულარი № 14. — იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების განმარტება.

იუსტიციის სახ. კომისარიატის ცირკულარი

ცირკულარი № 14.

ყველა მაზრის პროკურორს

ასლი: მაზრის აღმასკომებს და მილიციის უფროსებს.

ამიერ კავკასიის ბაზმის კომიტეტის მომრათვიდან სჩანს, რომ ზოგიერთ მაზრებში საქონლისაგან ბაზმის პლანტაციის აზრება თანდათან ხშირდება, რაც მეტად აფერხებს სოფლად ბაზმის კულტურის განვითარებას. ამ მოვლენის წინააღმდეგ ადგილობრივი ხელისუფლება სათანადო ბრძოლას არ აწარმოებს. ამის გამო იუსტსახკომისარიატი გავალუბრთ მიიღოთ სასტიკი ღონისძიება ბაზმის კულტურის დასაცავად განადგურებისაგან და გააძლიეროთ ზედამხედველობა, რათა ასეთი „წანახედი“-ს საქმეები საჩქაროთ ირჩეოდნენ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის და რესპუბლიკის

პროკურორის მოადგილე **ი. ტალახაძე**
ი. ს. კ. პროკურორი **ს. ქავთარაძე.**

1928 წ. ოქტომბრის 5.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა


კახეთის მაზრის პროკურორის შეკითხვის გამო:

- სწორია თუ არა სახალხო სასამართლოს შემდეგი მოქმედება:
რამოდენიმე გლეხთა ცალ-ცალკე აღძრა სახალხო სასამართლოში სამოქალაქო სარჩელი კოლექტივის წინააღმდეგ იმ საფუძველით, რომ უკანასკნელის მანქანას ცეცხლი გაუჩნდა მის მუშაობის დროს და ამის გამო დაიწვა გლეხების მიერ გასაღებად მიტანილი პურის ძნები. ეს საქმეები ცალ-ცალკე იქნა შედგენილი სასამართლოში, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ სასამართლოს შეუერთებია ყველა ეს საქმე ერთ წარმოებაში და რადგან ყველა სარჩელის საერთო ჯამი აღემატებოდა 1000 მანეთს, ერთს წარმოებაში შეერთებული საქმეები გადაუტოვა სამაზრო სასამართლოში იმ მოსაზრებით თითქოს ამ სარჩელებს ერთ წარმოებაში შეეცვალათ ქვემდებარეობა.
- თუ აღნიშნული მოქმედება სახალხო სასამართლოს სწორია, სამაზრო სასამართლომ უნდა გადაახდევინოს თუ არა დამატებითი ბაჟი მოსარჩელებს, რომლებსაც სახალხო სასამართლოში გადახდილი აქვთ 2%-დან 4%-მდე.

თუმცა სამოქ. სამ. საპრ. კოდექსის 173 მუხლის დადგენილება ანიჭებს სასამართლოს უფლებას შე ერთოს რამდენიმე ისეთი საქმე, სადაც ან მოსარჩლე მხარეზე ან მოპასუხე მხარეზე იღებს მონაწილეობას ერთი და იგივე პირები, და დადგენილებაც გამოიტანოს. რომ ყველა საქმე ერთად გაირჩეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რამდენიმე საქმის ერთ წარმოებაში შეერთებას შეეძლოს შეუცვალოს მათ ქვემდებარეობა, ერთ წარმოებაში შეერთება რამდენიმე სარჩელს საერთო გახდის ამ სარჩელებს ერთ სარჩელად, მით უმეტეს, რომ ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა, როცა სარჩელი სოლიდარული, ვალდებულებისაგან გამომდინარეობს. თვითუფილი მოსარჩლე ან მო. პასუხე მოწინააღმდეგე მხარის მიმართ დამოუკიდებლად გამოდის პროცესში. აქედან აშკარაა რომ თვითუფილი მოსარჩლეს ან მოპასუხეს ასეთი შეერთება მათი საქმეებისა ვერ მოუშაობს პროცესში აღნიშნულ დამოუკიდებლობას და რომ ამის გამო იმდენ სარჩელთან გვექნება საქმე ერთ წარმოებაში მათი შეერთების შემდეგ, რამდენიც იყო შეერთებამდე. ცხადია, რომ თუ სასამართლოს წარმოებაშია, მაგალითად, რამდენიმე მოსარჩლის დამოუკიდებელი სამოქალაქო საქმე ერთ მოპასუხის მიმართ და ეს საქმეები სასამართლოს მიერ იქნა შეერთებული იმ მიზნით, რომ ისინი ერთად იქნენ განხილული ეს არ ნიშნავს, რომ რამდენიმე საქმიდან შეიქნა ერთი საქმე და მასთან ერთი სარჩელი, რომლის თანხის მიხედვითაც იანგარიშება სასამართლოში საქმისათვის გასაწევი ხარჯები (სამ. სამარ. საპრ. კოდ. 35 მუხ.) ამისდა მიხედვით იმ სარჩელს, რომლებიც ცალკე წარმოებებს შეადგენდნენ ერთს წარმოებაში შეერთებამდე. დარჩებათ ის ფასი, რაც მათ ჰქონდათ შეერთებამდე, და აღნიშნულ სარჩელების ფასი ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილება და არა შეერთებულად, ამიტომ რამდენი სარჩელიც არ უნდა იქნეს შეერთებული ერთად გასარჩევად, საქმისათვის გასაწევი ხარჯის გამო-სანგარიშებლად ამ სარჩელების ფ.სი არ შეიძლება ერთმანეთს მიემატოს და ამის მიხედვით მოხდეს გამოანგარიშება საქმისათვის გასაწევი ხარჯისა. მოყვანილ მოსაზრებათა გამო საკანონმდებლო განყოფილება სცნობს, რომ სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 173 მუხლის თანახმად შეერთება ერთს წარმოებაში რამდენიმე საქმისა, სადაც ან მოსარჩლე მხარეზე ან მოპასუხე მხარეზე მონაწილეობას იღებენ ერთი და იგივე პირები, ვერ შესცვლის ამ საქმეების ქვემდებარეობას, ამიტომ სასამართლოს ის მოქმედება, რომ ერთს წარმოებაში შეერთებული საქმეები იქნენ გადაგზავნილი სამაზრო სასამართლოში თითქოს ქვემდებარეობის შეცვლის გამო, უნდა ჩაითვალოს არა სწორად.

საკანონმდებლო განყოფილების გამგე **როინაშვილი**
იურისკონსულტი **კ. მიქელაძე.**

1928 წ. 9 ოქტომბერი



გამოცემული:
სამ. ს. ს. იუსტიციის
სახალხო კომისარიატი

პასუხისმგებელი რედაქტორი: **შ. მათიკაშვილი.**
სარედაქციო კოლეგია: **ა. კაჭარავა, ი. ტალახაძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. როინაშვილი, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.**

სახალხო სასამართლოების და სახალხო გამომცემლების საყურადღებოდ

„საბჭოთა სამართლის“ რედაქცია სთხოვს სახალხო სასამართლოებს და სახ. გამომცემლებს, რომლებმაც მიიღეს ჩვენი ჟურნალის კომპლექტები ფასდადებით და გამოეიდგეს—ამის შესახებ სასწრაფოდ გვაცნობონ, რათა საშუალება მოგვეცეს თავის დროზე ჟურნალების გადმოგზავნისა.

მიიღება ხელისმოწერა

ჟურნალ „საბჭოთა სამართალ“-ზე

1928 წ. 1 ოქტომბრიდან 1929 წ. 1 იანვრამდე

ხელისმოწერის ფასი:—3 მან.

სამ თვეზე ნაკლები ხელისმოწერა არ მიიღება.

რადიკალური შეიკლება აბრკათვა შაქანა ა. წ. 1 იანვრიდან გამოცემული
უვალა ნომრებისა.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს იმ სამხსრო სასამართლოებს, რომელთაც მოე-
პოვებათ პირველი და მესხრანოებრი კატეგორიული სასწრაფოდ
გადმოგზავნონ უკან.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32 „საბჭოთა სამართ-
ლის“ რედაქციას. ტელეფონი № 10-51.



1928 წლის 1 იანვრიდან

გ ა მ ო დ ის ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის
ორგანიზული ორგანო

„ს ა ბ ჯ ო ტ ა ს ა მ ა რ ტ ა ლ ი“

„საბჭოთა სამართალი“ ისახავს მიზნად გაუწიოს იდეური ხელმძღვანელობა იუსტიციის მუშაკებს და გააუქმოს სასამართლო-უფლებრივი საკითხები, როგორც თეორიული აგრეთვე პრაქტიკული ხასიათისა საბჭოთა კანონმდებლობის და ხელისუფლების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიხედვით.

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას აქცევს სასამართლო მუშაობის პრაქტიკულ მხარეს და დაეხმარება სასამართლოს დარგში ყველა მომუშავეთ სათანადო მასალის მიწოდებით, სადაო საკითხების განმარტებით, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვით, კოდექსების სხვა და სხვა მუხლების ახსნა-განმარტებით და კომენტარიებით

„საბჭოთა სამართალი“ დიდ ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმთან ბრძოლას და დაუნდობლად ამხელს იუსტიციის მუშაკთა უარყოფით მხარეებს.

ჟურნალში დათმობილი აქვს ადგილი კენიზმენციარულ, სამილიციო და სისხლის სამართლის სამკაბრო მიღწევის მუშაობას.

გარდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის წერილებისა ჟურნალში არის აგრეთვე
შემდეგი განყოფილებები:

საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ტერმინოლოგიის მასალა, პროცესი, გიგლიოგრაფია, იურიდიული დახმარება (კითხვა-პასუხი), ოფიციალური ნაწილი (დადგენილებები, განმარტებები, კატრუქციები, ცირკულარები), უოსტა, განცხადებები და სხვ.

ჟურნალში თანაშემწეობენ შემდეგი ახსენებები:
(ანაწევრად)

ალხოვი ა., ამალღობელი ს., ანდრონიკაშვილი ლ., ბააზოვი გ., გაბაშვილი დ., გალუხტიანი ა., დოლიძე თ. გარდანიანი ს., ვარძიელი ი., ვაჩიშვილი ა., იუზუაშვილი გ., კაჭარავა ა., კოსტავა ა., კუსიკოვი ა., ლუნ-კევიჩი ვ., მათიკაშვილი შ., მახარაძე ფ., მესხიშვილი შ., მიქელაძე კ., ნანუიშვილი გ., ნუცუბიძე შ. პავლიაშვილი ი., პლეტნიკოვი კ., როინაშვილი ი., რცხილაძე გ., სიჭინავა ი., სურგულაძე ი., ტალახაძე ი. ტატიშვილი ვ., ქავთარაძე პ., ქორჭაშვილი მ., შავერდოვი ა., შურღაია ლ., ჩხეიძე ს., ჯაფარიძე ს. და სხვ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: შ. მათიკაშვილი.

სარედაქციო კოლეგია: ა. კაჭარავა, ი. ტალახაძე, ი. როინაშვილი, პროფ. შ. ნუცუბიძე, კ. მიქელაძე, ს. ჯაფარიძე, პ. ქავთარაძე.

ხელის მოწერის ფასი: წლიურად—10 მან., 6 თვით—5 მ. 50 კაპ., 3 თვით—3 მ.
ფასი თითო ნომრისა—50 კაპ.

სამ თვეზე ნაკლები ხელი მოწერა არ მიიღება.

რედაქციის და კატორის მისამართი: ტფილისი, ტრიბუნალის ქ., № 32, ტელეფონი № 10-51.